წელიწადი მესამე ფასი 7 კაპ. შაბათი, 1917 წ. მაისის, 13 (26)

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს" რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.
ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4. ტელეფონი 15—73
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело", поч. ящикъ № 76

განცხადებათა ფასი
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 30 კ., უკანასკნელზე—20 კ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ღირება 50 კ. 4-ზე 30 კ., ტექსტში—80 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით 15×2 ღირს 6 მ.; 20×2 ღირს 8მ., 25×2 ღირს 10მ. 3 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ა. კალანდაძის სტამბაში) ღირ. მეტი. დამატებიანი № ღირს ყველგან 10 კაპ.

№ 101 ყოველდღიური გაზეთი ეროვნულ-დემოკრატიულ მიმართულებისა № 101

ეროვნული

ოთხშაბათს, 10 მაისს 1917 წ., ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ფერშლის სკოლის მესამე კლასის მოწაფე 18 წლის

სოკრატ ფილიპეს ძე

დონაძე

გულ-დაწყვეტილი დედა დესპინე და მამა ფილიპე, პატარა ძმები და დები უმორჩილესად თხოვენ ნაცნობთა და ნათესავთ, დაესწრონ გამოსვენების დღეს. პანაშვიდი ყოველ დღე 7 საათზე. გამოსვენება ცხედრისა იქნება კვირას, 14 მაისს, ჩუღურეთის ნიკოლოზის ეკლესიაში. საკუთარი სახლი, ერთობის ქუჩა, 67. 9 უბანი

2—632—1

გულდამწვარი მეუღლე მარიამ ზაქარიას ასული დოლონძისა დედმამით, სოფიო ქრისტესიას ასული და ზაქარია ნიჟარაძენი, გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ შაბათს, 13 მაისს, ქალ. ქუთაისში საფიჩხიის სასაფლაოზედ გადახდილი იქნება ექვსი თვის წირვა და პანაშვიდი მე-14 კავკ. მსროლელთა პოლკის პორუჩიკის

სილიბისტრო ისიდორეს ძის

დოლონაძის

სულის მოსახსენებლად. 1—637—1

ღრმად დამწუხრებულნი ძმები ზაქარია და ნიკოლოზ ივანეს ძენი დებით და ანტონ ივანეს ძე არჯევანიძენი მეუღლითა და შვილებით, აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას, თვისი უსაყვარლესის დის

სოფიო ივანე არჯევანიძის ასულისას.

გამოსვენება დანიშნულია კვირას, მაისის 14, დილის 9 საათზე, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში. გიორგიევის ქ. საკუთარი სახლი, № 5. (1—640—1)

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის
საორგანიზაციო კომისია
მართავს კრებას მეათე და მეთორმეტე უბანში

მცხოვრებ პარტიის თანამოაზრეთა და თანამგრძნობთა, „ახალ საკრებულოს" (ხარფუხის საზაფხულო) კლუბში, მიხეილის ქუჩაზე № 129,

მაისის 14, კვირას, დილის 11 საათზე.

კრებაზე დასწრება შეუძლია პარტიის თანამგრძნობთ განურჩევლად სქესისა.
კრებას მოხსენდება პროგრამა და საორგანიზაციო საკითხები.

2—683—1

სახელმწიფო თეატრი
ვალ. შალიკაშვილის წარმოდგენა:

შაბათს, 13 მაისს, სახელმწიფო თეატრში ვალ. შალიკაშვილი, თბილისის დასის მონაწილეობით, გამართავს წარმოდგენას. წარმოდგენილი იქნება

ღალატი

5 მოქ. ალ. სუმბათაშვილისა.

მონაწილეობენ: ქ. ქ. ტ. აბაშიძე, ე ანდრონიკაშვილი, ნ. დავითაშვილი, ე. ჩერქეზიშვილი, მ. ქილარჯიშვილი; ბ.ბ. ვ. აბაშიძე, შ. დადიანი, ნ. გვარაძე, ი. ზარდალიშვილი, ვ. მეტარიძე, ნ. ციციშვილი, ა. სანდილიძე, ვალ. შალიკაშვილი, შ. საფაროვი, ი. თარალაშვილი.

პიესას დასდგამს კონტ. ანდრონიკაშვილი.

ადგილების ფასი 6 მ.-დან 45 კ.-მდე. ◆ დასაწყისი 8 1/4 საათზე.
ბილეთები ამ თავითვე იყიდება თეატრის კასაში. 3—675—1

„ახალი საკრებულო"
(ყოფილი ხარფუხის კლუბი)
გადავიდა საზაფხულო შენობაში (მიხეილის პროსპ. № 129).
შაბათს 13 მაისს
სიმებიანი ორკესტრი
სინემატოგრაფი
დასაწყისი სად. 8 ნახევარ საათზე.
სტუმრები საზოგადო წესით. 1—681—1

ექიმი
მ. ფ. მგალობლიშვილი
ქალებისა და საქირურგიო სნეულებით ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე.
მისამართი: ოლღას ქუჩა № 41, ზემო სართული, ტელ. 9—53.

ექიმი
მ. ი. მაჩნაძე
იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს ყოველ დღე კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, ბელინსკის ქ. № 4. (ს.—302—)

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა
ახალი აფთიაქი
პროვიზორის ახვლედიანისა

ექიმი
ე. ლ. შალამბერიძე
იღებს საბებიო და საშვილოსნოს ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე.
მისამართი: პეტროგრადის ქუჩა № 7.

ექიმი
მ. დ. წინამძღვრიშვილი
ყოფილი ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტის თერაპევტიული კლინიკისა. შინაგანი სნეულებანი გულისა, ფილტვისა და სისხლის სნეულ. სპეციალურად იღებს სად. 5—7 საათამდე ყოველდღე გარდა ხუთშაბათისა. მიხეილის პროს. № 36, მეორე სართული.

ექიმი კბილისა
ე. ივ. გალარჯაშვილი-მათეშვილისა
იღებს ავადმყოფებს:
დილით 9—2 საათ. სად. 5—7 საათ. ჩერქეზიშვილის და რუსთავის ქუჩის კუთხე № 20

ექიმი
ბ. მ. მუხაძე
იღებს სადასტაქრო ავადმყოფთ საღამოს 5-6 ს.-მდე, კვირა დღეს გარდა
მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოების შენობის პირდაპირ; სახლი სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

დოქტორი მედიცინისა
მიხეილ ანტონის ძე
კალანდარიშვილი
უფროსი ექიმი თბ. კალენტის კლინიკისა.
ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებათ ავადმყოფებს იღებს ოლღას ქ. № 8.

## თბილისი, მაისის 13.

## საკოალიციო სამინისტრო

საკოალიციო სამინისტრო საქმით თუ არა, სახელით მაინც შედგენილად უნდა ჩაითვალოს. ვამბობთ სახელით, რადგანაც ყველა არსებულ და მომქმედ ძალების წარმომადგენელნი კი არ მოჰყვნენ, არამედ მხოლოდ მემარცხენე ნაწილი ლიბერალ ბურჟუაზიისა და მემარჯვენე ნაწილი სოციალისტებისა, რომელნიც ერთიერთმანეთს მეზობლებადა ხვდებიან. ამ მხრივ, მთავრობის მოქმედებაში, შესაძლებელია, დამყარდეს ერთგვარი modus vivendi, მაგრამ ეს კიდევ იმის მომასწავებელი არ იქნება, ვითომ იგი სრულის ნდობით და ავტორიტეტით იყოს აღჭურვილი ქვეყნისაგან. ეს შეუძლებელია, როგორც დროებით მთავრობის შემადგენლობისა გამო, აგრეთვე ობიექტურ პირობათა მიხედვით და ამიტომ შეცდომად უნდა ჩაითვალოს შესვლა სამინისტროში სოციალისტების წარმომადგენლებისა და მათ შორის კაკი წერეთლისა.

მართლაც, რა უნდა გააკეთოს ახალმა შევსებულმა სამინისტრომ დღევანდელ პირობებში? ძველმა რეჟიმმა კი სერი მოიტეხა და დამარცხდა მარტო იმიტომ კი არა, რომ იგი ყველასა სძულდა, ან როგორც ზოგიერთ გულუბრყვილოსა ჰგონია, იმიტომ, რომ რასპუტინმა გარყვნაო, არამედ იმიტომ, რომ მან ვერ შეასრულა ის, რაც დაიკისრა მთელი ქვეყნის წინაშე: ვერ აწარმოვა ჯეროვანად ომი, ვერ გამოკვება ხალხი და გამოიწვია არევ დარევა საწარმოვო ძალებისა. ძველი მთავრობა რომ დროებითმა მთავრობამ შესცვალა, იგივე ლოზუნგები გაიმეორა; ახალი არაფერი გაუკეთებია, ვინაიდან არც შეეძლო ეთქვა ან გაეკეთებინა. ამიტომ იგიც დამარცხდა ელვის სისწრაფით. დღევანდელი შევსებული საკოალიციო მთავრობა იმეორებს იმავე შეცდომებს, იზიარებს ორი წინანდელის პროგრამას და რადგან ობიექტიური პირობების გამო, მისი განხორციელება შეუძლებელია, ისევე დამარცხების გზაზეა შემდგარი. ეს აშკარაა და აი ამიტომაცაა შეცდომა სოციალისტებისა, რომ ნაწილობრივ მაინც თავს იდვეს პასუხისმგებლობა იმ რღვევისა (разруха), რომლის შეჩერება ულამაზესი და ულოლოკესი მოწოდებებით და სიტყვებითაც წარმოუდგენელია. ამის გარდა კი ჯერ არავის არაფერი გაუკეთებია და ვერც გააკეთებს, რადგან ობიექტიურ პირობათა შეცვლის შეუძლებლობა რუსეთის შინაგანი ძალებით ველარ დაიმალება. მეტად საეჭვო იყო რუსეთისათვის ომის მოგება ჯერ კიდევ მაშინ, როცა ერთბრძანებლობა სუფევდა და მით უმეტესად მაშინ, როცა რევოლიუციის ზეგავლენით დროებითმა მთავრობამ ასაფეთქებელი მაზალა გადისროლა ჯარში ბ-ნ გუჩკოვის უადგილო „ბრძანების" სახით. გუჩკოვი წავიდა, მართალია, მაგრამ მან თანვე წაიღო უპირველესი საწინდარი გამარჯვებისა—ჯარის დისციპლინა და ძალთა კოორდინაცია. ასეთ მემკვიდრეობის მიღებაა სოციალისტებისაგან—უიმედოთ დავალიანებული მემკვიდრეობის მიღება და ისინიც დამარცხდებიან. საეჭვოა რუსეთის გამოკვება იმიტომ კი არა მარტო, რომ ტრანსპორტია მოუწყობელი, არამედ იმიტომ, რომ რუსეთში არ არის საკმაო საკვები ნორმალ პირობებშიაც და ეხლა ხომ საკვები გაცილებით მეტია საჭირო. ძველმა რეჟიმმა წინასწარვე დაშრიტა ყველა წყარო და მისი აღმოცენება მხოლოდ დროსა და წარმოების გაათკეცებას შეუძლიან, რაიც რევოლიუციის დროს ოცნებად დარჩება. საკოალიციო მთავრობა აქაც ვერაფერს გააწყობს და სოციალისტები სრულიად უდანაშაულოდ პასუხისგებაში უნდა იყვნენ მიცემულნი, რადგან ისტორია თუ არჩევს ვინ იყო დამნაშავე, თანამედროვე ამას არ არჩევს და თავზე კაკალს ამტვრევს იმას, ვისაც ცხვირწინა ხედავს. წარმოება არეულ-დარეულია და მისი დალაგება და ძლიერი ამოძრავება შეუძლებელია დღევანდელ პირობებში და ამის დაფარვა სიტყვებით,—ვერ შეჰქმნის სიმშვიდეს.

საკოალიციო სამინისტრო ამრიგად სრულიად უძლური გამოდგება, რაც უნდა ბევრი ენერგია დახარჯოს და ეს თუ ეპატიება რუსეთის ბურჟუაზიას, რომელიც, დაბრმავებული ახალის ხელმწიფებით (власть) ველარა ხედავს სინამდვილეს, არ ეპატიებათ მემარცხენეებს, რომელნიც ნამდვილს, რეალურს ოსპის შეჭამანდს სცვლიან ფუქსავატ პირველობის უფლებაზედ. ეს ორმაგი შეცდომაა სოციალისტებისა, რადგან, ძლიერნი თავისი კონტროლით და კრიტიკით ისინი ჯერ, ერთი, ანელებენ თავისავე მოქმედებას და ძალას სამინისტროში შესვლით და, მეორეც, კისრულობენ პასუხის-მგებლობას უიმედო მდგომარეობისას. რუსეთის ბურჟუაზიამ ნაცადი ხერხით ჩაითრია მათი წარმომადგენელნი თავის სიტყვიერ ქსელში, რომ თვისი უნიათობა მათაც გაუნაწილოს და სწორედ ესაა სახიფათო სოციალისტებისათვის.

## ჯარი და პროვოკაცია

დიდი უმეტესობა ჯარისა—სოფლის უბრალო მუშაა, სამწუხაროდ გაუნათლებელი და მოუმზადებელი. იმას უყვარს რუსეთი. იმას ენატრება მიწა და თავისუფლება; მისი შეგნება და გონებრივი მომზადება. აძ საზოგადო. ლოზუნგებს იქით ველარ მიდის. რევოლიუციამ კი ააშნია ათასგვარი სხვა და სხვა საკითხი საპოლიტიკო, საეროვნო, სასოციალო, საეკონომიო ამათ ვერ ერკვევა უბრალო ჯარის კაცი, მას არ შეუძლიან გაითვალისწინოს სხვა და სხვა მოძღვრება და თვალსაზრისი და ცხოვრების სხვა და სხვა შთაბეჭდილება არეულად იკვანძება მის სულში. აქ საკმარისია მცირეოდენი გაღიზიანება, რომ უბრალო გაუგებრობამ სისხლით მორწყოს არე-მარე.

გაღიზიანებაც ადვილია. ჯარმა დიდი შრომა გასწია. დიდი ვაივაგლახი აიტანა. გამოიარა ამ საშინელი ომის ქარ-ცეცხლი, დაინახა ღალატი და მუხანათობა, გაბრაზებული მოუბრუნდა მერე და თვით დაანგრია ის, რასაც თვითონ თაყვანსა სცემდა. ერთის სიტყვით, ომის და რევოლიუციის ქარიშხალმა გადაიარა არა მარტო ბრძოლის ველზე, გადაიარა აგრეთვე მის ზნეობრივ ცხოვრებაში და იქაც რწმენის და შეხედულებას საშინელი ნგრევა მოახდინა.

ასეთი ჯარი ხშირად მოდის ჩვენკენ, კავკასიაში, დაღლილი, გულჩათხრობილი, გაბოროტებული. აქ ჰხედავს სხვა ნაირ ხალხს, ესმის სხვა და სხვა ენა და ხშირად ეგეც კი შეუგნია კარგად—ვინ არის გვერდით—მტერი თუ მოყვარე?! ცხოვრების სიძვირე, მისვლა-მოსვლის არევ-დარევა, ათასნაირი გასაჭირი იმას უფრო ჰბვდება და უფრო ურევს მას გულს და გონებას. მას ყველგან ღალატი და მუხანათობა ელანდება. საკმარისია მცირეოდენი გაღიზიანება, რომ უბრალო გაუგებრობამ სისხლით მორწყოს არე-მარე.

ამითი სარგებლობს პროვოკაცია. რომ პროვოკაცია არის, რომ იგი სწარმოებს მწყობრად და მიზანშეწყობილად, ეს, ეჭვს გარეშეა. იგი სარგებლობს გარემოებით და გარემოების მიხედვით სცდილობს ააფეთქოს ჯარი.

ქუთაისში პროვოკაცია ჩასჩურჩულებს: აი ქართველები ითხოვენ ავტონომიას... ავტონომია კი—ღალატია, ჩამოშორებაა რუსეთიდან..." ამ პროვოკაციით, აფეთქებული ჯარი გამოდის და ჰლეწს ფედერალისტების კლუბს.

ყარსში თუ ჰასანკალაში: „აი თათრები... იარაღს ჰყიდულობენ... მოელიან ოსმალეთის ჯარს, რომ მხარი დაუჭირონ... ღალატია..." ამ პროვოკაციით წამონთებული ჯარი გამოდის, და მზად არის მუსრი გაავლოს მუსულმანებს.

ამისთანა მაგალითები ბევრია. აიღეთ თუნდაც საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია. ეს სრულებით სადა და სრულებით სამართლიანი მოთხოვნილება განა არ აამსეს შხამითა და სიმწვავით და განა არ სარგებლობენ იმით, რომ ძმური განწყობილება ერთა შორის აწეწ-დაწეწონ და ქართველობას მოახვიონ ისეთი ბრალდება, რასაც საეკლესიო თავისუფლებასთან არავითარი კავშირი არა აქვს? აქაც აშკარა პროვოკაცია სწარმოებს.

ჯარი რევოლიუციის დარაჯად სდგას, მაგრამ იგივე ჯარი კონტრ-რევოლიუციის ხელში საშიშარ იარაღად შეიძლება გახდეს. საჭიროა გაფრთხილება. ამიერ კავკასიის ჯარისკაცთა ყრილობას აქ დიდი სამსახურის მოტანა შეუძლიან. ამ ყრილობამ გამოჰყო ერთი სექცია შესახებ ეროვნულ საკითხისა. ამ სექციამ უნდა შეიმუშავოს შესაფერი რეზოლიუცია, რომელიც ჯარისკაცთაგან სარევოლიუციო ლოზუნგების შეგნებას გააღრმავებს. ჯარისკაცმა უნდა იცოდეს, რომ ეროვნული თავისუფლება და თვითმართველობა სწორედ ერთ-ერთი ლოზუნგია რევოლიუციისა და მისი გამოლაშქრება ამ ლოზუნგის წინააღმდეგ თვით რევოლიუციის შეფერხება იქნება. საჭიროა საზოგადოდ გაფრთხილება და ეს გაფრთხილება მკვეთრად და ავტორიტეტულად გამოთქმული ჯარისკაცთა ყრილობის მიერ, ელვასავით გავლოს ყოველ ბანაკებსა და ყაზარმებში.

**გიორგი გვაზავა.**

## პრესა

### „ზავი უანექსიოდ" და სომხეთი.

„ორიზონი" უანექსიო ზავის ფრიად ეშინიან, რადგანაც ასეთი ზავის ჩამოგდება დიდ საფრთხეს უმზადებს სომხეთის ბრწყინვალე მომავალს. ამის გამო „ორიზონი" ამბობს:

„არა ერთხელ გვიჩვენებია, რომ „უანექსიო ზავის" ფორმულა მრავალ გაუგებრობას იწვევს. რუსეთში ეს ფორმულა აიხსნება იმ აზრით, რომ მებრძოლ სახელმწიფოებმა დაკარგული ადგილები დაიბრუნონ და ომამდე არსებული ძველი საზღვრები აღადგინონ. აქედან დღესავით ნათელია, რომ ამგვარი განმარტება სრულიადაც არ შეესაბამება დემოკრატიის მიზნებს. გაუგებრობის თავიდან ასაცდენად უანექსიო ზავის ფორმულას უნდა ჩაემატოს ორი სიტყვა: „თვითგამორკვევის უფლება", ე. ი. ერმა თვით უნდა გადასწყვიტოს შეუერთდეს კვლავ წინანდელ სახელმწიფოს, შექმნას თავისი დამოუკიდებლობა თუ სხვა სახელმწიფოს მიეკედლოს. მაგრამ კავკასიის ფრონტისათვის და კერძოდ სომხეთისთვის ეს სრულიადაც საკმარისი არ არის. საქმე იმაში გახლავთ, რომ თვითგამორკვევის უფლება შეიძლება სამშვიდობო კონგრესზე იქმნეს აღიარებული, ხოლო ერი და მისი მიწა-წყალი კვლავ ძველ ბატონს შეჰრჩეს. დემოკრატიის სიტყვა და მისი დაცვა, რევოლიუციონურ ლაშქარმა უნდა იკისროს. უკეთუ ლაშქარმა დასტოვა ტერიტორია, რომლის მცხოვრებთაც „თვითგამორკვევის უფლებას" ჰპირდებიან, მაშინ დემოკრატიის მოთხოვნილებას სუსტი მორალურ დეკლარაციის ხასიათი მიეცემა. ამას მტერი ფაქტიურ მფლობელობის უფლებას წამოუყენებს. სანამ მტერთა ცხოვრების საქმეს ძველი მთავრობა განაგებს და არა მშრომელი დემოკრატია, მანამდე რუსეთმა უნდა დაიცვას დაპყრობილი ტერიტორია, ამით კი დაჩაგრულ ერს თვითგამორკვევის უფლება მიეცემა. რაც შეეხება ოსმალეთის სომხეთს, მას ამჩნევია სხვა სპეციფიკური მდგომარეობა, რომელიც ფაქტიურად მოსპობს ამ უფლებას, თუ სომხეთის ტერიტორია კვლავ ოსმალეთის ხელში გადავა. ყოველგვარი დახევა ამ ფრონტზე შიშსა და თრთოლვას გამოიწვევს არა თუ ოსმალეთის სომხეთის გამოქცეულთა შორის, არამედ მთელს სომხეთის საზოგადოებაში. სომხის ხალხი ჰგრძნობს, რომ შეიძლება ისეთი უბედური დრო დაუდგეს, როდესაც მისთვის „თვითგამორკვევა" და სხვა ამგვარი უფლებანი სრულიად საჭირონი აღარ იქნებიან. ოსმალეთის სომეხთა თვითგამორკვევის საქმეს დიდი დამოკიდებულება აქვს კავკასიის ფრონტთან. ამისთვის ჩვენ საფრონტო ანტიანექსიალურ კრებას არა თუ „თვითგამორკვევის" უფლება უნდა მოვსთხოვოთ, არამედ ის პირობაც, რომ რუსეთის ლაშქარი თავის მიერ დაპყრობილ ტერიტორიას ოსმალეთს ვერარას გზით ველარ დაუბრუნებს. მხოლოდ ამნაირ განცხადებას შეუძლიან დაშოშმინება იმ ასიათასი გამოქცეულისა, რომელნიც მოუთმენლად მიელიან სამშობლოში დაბრუნებას".

⁂

### თბილისის სოციალისტ-რევოლიუციონერები.

„კავკაზსკი რაბოჩი" სწერს:

„თბილისში გამოდის სოც.-რევოლ. პარტიის გაზეთი „ზნამ. ტრუდა". როდესაც კაცი ამ გაზეთს ათვალიერებს ძალაუნებურად ეკითხება თავის თავს: აქ სადმე რაიმე გაუგებრობა ხომ არ იბადებაო!? იქნებ სოც.-რევოლიუციონერები შესცდნენ, როდესაც გაზეთს ზემოხსენებულ სახელს არქმევდნენ? თუ ღმერთი გწამთ, მითხარით: რად უწოდეს მათ გაზეთს „ზნამ. ტრუდა" და არა „ზნამ. კავკ. სლოვა"? „ზნამ. ტრუდას" თანამშრომლები თითქმის ყველა „კავკ. სლოვოს" ძველი თანამშრომლები არიან იმ დროისა, როცა ეს გაზეთი კონს.-დემოკრატების ორგანოდ ითვლებოდა. და ახლა, როცა გაზეთმა სოც.-რევოლიუც. პოლიტიკური თვალსაზრისი მიიღო, ხანდახან იქიდანაც გამოიყურება. განსხვავება ძალიან მცირეა: დემოკრატიული კადეტები წინედაც იყვნენ მოდაში და ახლა, როდესაც „სოციალისტურ ბურჟუაზიის" მოდა დაიწყო—ეს ხალხიც ახალ მოდაზე სცხოვრობს. ჩვენის აზრით, ზრდილობის ელემენტარულ წესრიგის დარღვევა, თუნდაც სოციალიზმის სახელით, ყოვლად შეუძლებელია. კარგი იქნებოდა, თუ შეგნებული ხალხი გაითვალისწინებს, რომ ის, რაც ცუდ კადეტებს ეპატიებათ, არ ეპატიებათ მოზრდილ რევოლიუციონერებს."

# რევოლუცია

## დეპეშები

**ლეიტენანტ შმიდტის ნეშთი**

**ოდესა.** მაისის 7. გუშინ ნაშუადღევის 6 საათზე მხედართა დეპუტატების საბჭო მივიდა კუნძულ ბერეზინზე, სადაც აპრილის 16 შმიდტის და მასთან ერთად დასჯილების საფლავები იპოვეს. ნეშთები ამოიღეს და ლითონის ძვირფას კუბოებში ჩაასვენეს. გადაიხადეს პანაშვიდი და ზარბაზნების სროლით კუბოები კრატერ „ოჩაკოვზე“ გადიტანეს და სამხედრო ტაძარში დაასვენეს. საღამოთი კი ოდესაში მოასვენეს. დილით გაზეთები შავი ასოებით გამოვიდა. დაბეჭდილი იყო შმიდტის სურათები. სანაპიროები ხალხით იყო სავსე. დამოუნის მოედანზე დელეგატები გამოვიდნენ დროშებით. კრეისერი ნაპირს მეორე საათზე მოადგა. კრეისერიდან ჩამოვიდა შმიდტის შვილი. მას მიეგებნენ ოლქის ჯარების უფროსი, ჯარის კაცთა დეპუტატების თავმჯდომარე და შტაბის უფროსი. ამან შმიდტის შვილს ყდაში ჩადებული—დღევანდელი ბრძანება მიართვა, ბრძანება ჯარს შესახებ მისი მამის ნეშთის დახვედრისა. პროცესია დაიძრა. წითელი და შავი დროშები დასჯილთა ნეშთების წინ წამს მოიხარა. სამღვდელოებას მოუძღოდა ეპისკოპოსი ალექსი. კუბოებს გზაში დახვდნენ სოციალისტურ პარტიების, გლეხების, მეზღვაურების და ჯარის კაცთა წარმომადგენლები. წარმოსთქვეს სიტყვები. შემდეგ კუბოები ისევ კრეისერებზე აიტანეს და კრეისერი სევასტოპოლისკენ წავიდა.

**გლეხთა ყრილობა**

**პეტროგრადი.** მაისის 8. დღეს გლეხთა ყრილობა დროებით მთავრობასთან დამოკიდებულებაზე ჰლაპარაკობდა. უმრავლესობა მომხრეა, რომ მას მხარი მისცენ. შლისენბურგელ ჩაიკოვსკის სიტყვამ ყველაზე დიდად იმოქმედა. ბოლშევიკები ყრილობას მოუწოდებდნენ, მთავრობას უნდობლობა გამოეუცხადოთო. ერთი მათი ორატორი კათედრაზე იარაღით გავიდა. მაგრამ მოწოდებამ ვერ გასჭრა.

**თავ. ლვოვის ავადმყოფობა.**

**პეტროგრადი.** მაისის 8. მინისტრთა თავმჯდომარე თავადი ლვოვი ავად არის, მის მაგივრობას დროებით მთავრობის კრებებზე კერენსკი იწევა.

**ჯამაგირების მომატება.**

**პეტროგრადი.** მაისის 8. ფოსტა-ტელეგრაფის მინისტრის წერეთლის თაოსნობით დროებით მთავრობამ ფინანსთა მინისტრს დაავალა, რომ მან ყველა სამმართველოების მოსამსახურეთა ჯამაგირების მომატების საკითხი რაც შეიძლება მალე შეიმუშაოს.

**დამფუძნებელ კრების სამზადისი**

**პეტროგრადი.** მაისის 8. დროებით მთავრობის საიურიდიო თათბირმა შეაგროვა და სისტემით დაალაგა უცხო სახელმწიფოთა დამფუძნებელ კრების მოწვევის პრაქტიკის მასალა. ეხლა, საარჩევნო პროექტისათვის მუშაობის დაწყება იმაზეა დამოკიდებული, თუ საპოლიტიკო ორგანიზაციები ამ საქმისათვის თვითონ წარმომადგენლებს როდის აირჩევენ.

**რუსეთის სოც.-დემოკრატთა საერთო კონფერენცია.**

**პეტროგრადი,** მაისის 6. მაისის 7 დაიწყო რუსეთის სოც.-დემოკრატიულ მუშათა პარტიის საერთო კონფერენცია. პრეზიდიუმში არჩეულ არიან: კრომბალი, ტროებიცინი, შეხტერი, რომანოვი და ვასილიევი. საპატიო თავმჯდომარეებად: წერეთელი, სკობელევი, ჩხეიძე. წერეთელმა თავის დიდ სიტყვაში ის აზრი გამოსთქვა, რომ თუმც იგი მუდამ წინააღმდეგი იყო ბურჟუაზიულ მთავრობაში სოციალისტების მონაწილეობისა, მაგრამ ცხოვრებამ ისე დააყენა საქმე, რომ სხვა გზა არა გვქონდაო. ბურჟუაზიულმა მთავრობამ ვერა გააწყო რა. ძალა ან უნდა მუშათა საბჭოს ჩავარდნოდა ხელში, ან კოალიციურ მთავრობას. პირველი შეუძლებელი იყო, რადგანაც ჯერ არ დამდგარა დრო პროლეტარიატის პროგრამის განხორციელებისა, ამიტომ ისევ ჩვენ უნდა გვეკისრა და ბურჟუაზიულ მთავრობაში მიგვეღო მონაწილეობაო. რუსეთის რევოლუციას ორი მიზანი აქვს—ომის დამარცხება—ეს ისე უნდა მოხდეს, რომ სხვა, მეომარ სახელმწიფოს პროლეტარიატმა მოითხოვოს უანექსიო და უკონტრიბუციო ზავი, მეორე-კი შინ თავისუფლების გამტკიცებაო. ორივე მიზანი უზრუნველყოფილიაო— სთქვა ფოსტის მინისტრმა.

ყრილობას მოკლე სიტყვით მიესალმა სკობელევი. შემდეგ ილაპარაკეს გოლდმანმა— „რაბოჩაია გაზეტა“-ს რედაქტორმა. ერლიხმა—ბუნდის წარმომადგენელმა, რუდენიჩმა—ლატიშთა სოც.-დემ. ორგანიზაციის წარმომადგენელმა და სხვ.

ამოირჩიეს ხუთი სექცია: მიწის საკითხისა, ეროვნულ საკითხისა, მუნიციპალიტეტისა, მუშათა და დამფუძნებელ კრებისა. პირველ დღეს კამათი იყო მთავრობაში სოციალისტების მონაწილეობის გამო. მეორე დღეს, მაისის 8, მიიღეს რეზოლიუცია, რომლითაც დროებით მთავრობას მხარს უჭერენ.

**ხარჯის გადახდის უარი.**

**ბეჟეცკი.** მაისის 8. მოსკინოგორკის სოფლის საზოკადოების კომიტეტმა ხარჯების გაღებაზე უარი განაცხადა.

**პროფესიონალ კავშირთა მესამე კონფერენცია.**

**პეტროგრადი.** მაისის 9. პროფესიონალ კავშირთა მესამე კონფერენციის მომწვევი საორგანიზაციო კომისია, ამით აუწყებს, რომ კონფერენციის მოწვევა მაისის 20-თვის გადაიდო.

**ჯარისკაცთა საბჭო და დროებითი მთავრობა.**

**ნიჟნი-ნოვგოროდი,** მაისის 8. ყრილობამ მიიღო რეზოლიუცია, სადაც ის აზრია გამოთქმული, რომ საკოალიციო მთავრობას მხარი უნდა დავუჭიროთო. ხალხის სურვილების ნამდვილი გამომხატველი კი მხოლოდ მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოებიაო. მათვე ეკუთვნით დროებით მთავრობის კანტროლიო.

**ადლერის სიკვდილით დასჯის განაჩენი.**

**სტოკჰოლმი.** მაისის 7. ვენიდან იუწყებიან, გრ. შტიურგერის მკვლელს, ავსტრიის სოც.-დემოკრატების მეთაურის ადლერის შვილს სამოსამართლო პალატამ სიკვდილი მიუსაჯაო.

**ადლერის სიკვდილით დასჯა და მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების მოწოდება.**

**პეტროგრადი.** მაისის 9. მუშათა და სალდათთა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის ბიურომ მთელი ქვეყნის სოც.-დემოკრატებს და კერძოდ ავსტრიის სოც. დემოკრატებს დეპეშა გაუგზავნა და მოუწოდა, რომ მათ ადლერის სიკვდილით დასჯას ხელი შეუშალონ, რადგანაც ადლერი ხალხთა თავისუფლებისა და საყოველთაო ზავისთვის მებრძოლი იყო.

**ხალხის თავისუფლების პარტიის დელეგატთა ყრილობა.**

**პეტროგრადი.** მაისის 9. დაიწყო ხალხის თავისუფლების პარტიის დელეგატთა მე-8 ყრილობა. 300 დელეგატზედ მეტი დაესწრო. მილიუკოვის ტრიბუნაზედ გამოსვლას საზოგადოება ხანგრძლივ ტაშით შეხვდა.—„გაუმარჯოს მილიუკოვს!“ ისმოდა ძახილი.

პოლიტიკურ მდგომარეობის მოხსენების დასაწყისში მილიუკოვი იხსენიებს საზოგადოების სულიერ განწყობილების განსხვავებას დღეს და ამ ორი თვის წინედ.

მაშინ იყო საერთო აღტაცება, ერთობა და ახლა კი ეს გაერთიანება ჩვენს შორის აღარ ჰსუფევსო. უკანასკნელ ხანებში ჩვენში სამმა მიმდინარეობამ იჩინა თავი: კონტრ-რევოლიციონურმა, შემომქმედმა და დამარღვეველმა. ხალხის თავისუფლების პარტიას ყოველთვის შემომქმედ ელემენტთა შორის ჰქონდა ადგილი და მემარცხენეთა ელემენტებს ემხრობოდა. ორატორის აზრით, პარტიამ დღესაც ეს ადგილი უნდა დაიჭიროს. მომხსენებლის აზრით კოალიციონურ სამინისტროს დაარსება უკვე გვაჩვენებს დამარღვეველთა იდეალების დამხობას და ამის გამო მოითხოვს სრული ნდობა გამოეცხადოს ახალს მთავრობას. შემდეგ ამნაირივე ხასიათის მოხსენებით გამოვიდა ვინავერი და ყრილობას მიჰმართა რეზოლიუციით რომელშიაც ნათქვამია, რომ ხალხის თავისუფლების პარტია სახელმწიფოს მფარველად ითვლება და უიმისოდ დღევანდელს ჩვენს თავისუფლებას დიდი საფრთხე მოელისო.

პარტიის სწამს, რომ მემარცხენეები გააძლიერებენ ახალს მთავრობას.

პარტია მოითხოვს აგრეთვე საომარ მოქმედების ბოლომდე მიყვანას და მოკავშირეებთან მტკიცე კავშირის შენახვას. ამისთვის იგი ჰპირდება დროებით მთავრობას ხელი შეუწყოს კეთილ მიზანთა განხორციელებაში.

**შახოვსკოიმ** სთქვა, რომ მთავრობის შემადგენლობაში შესული პარტიის წევრები პასუხისმგებლად ჰსთვლიან თავის თავს პარტიის წინაშე, მაგრამ პარტიისგანვე მოითხოვენ ძალთა ორგანიზაციასაო. შახოვსკოი სასურველად ჰსცნობს საგანგებო ორგანოს დაარსებას, რომელიც მტკიცედ ხელს შეუწყობს დროებით მთავრობის მოქმედებას.

გზათა მინისტრმა **ნეკრასოვმა** სთქვა, რომ მიღებული რეზოლიუცია სისრულეს არის მოკლებულიო. მე, მაგალითად, რუსეთის ინტერესები სულ სხვა გვარად მესმის, ვიდრე მილიუკოვსაო. შახოვსკოის საპასუხოდ იგი ამბობს, რომ საჭირო არ არის ორგანოს დასაარსებლად მივმართოთ სახ. სათათბიროს წარმომადგენლებს, რადგანაც სათათბირო არ არის **ხალხის აზრის** გამომხატველიო. იგი მოითხოვს მოცდას დამფუძნებელ კრებამდე. ნეკრასოვის სიტყვამ ყრილობის ერთ ნაწილის პროტესტი გამოიწვია.

**გენ. ალექსეევის საუბარი ჯარისკაცებთან.**

**მინსკი.** მაისის 9. „მინსკაია გაზეტა“ იტყობინება: პეტროგრადიდან ბანაკში მიმავალი გენერალი ალექსეევი და ჯარის სხვა წინამძღოლნი სადგურებზე ესაუბრებოდნენ ჯარისკაცებს დღევანდელ მდგომარეობის და უფრო კერენსკის დანიშვნის შესახებ. ჯარისკაცებმა სთქვეს, ლაშქარი კერენსკის დანიშვნას კარგად შეეგებაო. ჯარისკაცები მას ენდობიან და მას გაჰყვებიანო. ზოგიერთი ჯარისკაცი ეკითხებოდა ალექსეევს: დეზერტირებს რატომ არ დახვრეტავენო. ალექსეევმა უპასუხა, რომ დეზერტირებს უნდა შევაგნებინოთ მათი დანაშაული სამშობლოს წინაშეო, თან ისიც დაუმატა, რომ ჩვენს ასპარეზზე უკანასკნელ ხანებში დეზერტირთა რიცხვმა თვალსაჩინოდ იკლო და მდგომარეობა გაუმჯობესდაო. მთავარსარდლის უშუალო საუბარმა ჯარისკაცებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

**ჯარისკაცთა უწესობა.**

**რიგა.** მაისის 9. გზად მიმავალ ჯარისკაცებმა რამდენიმე მეშამულე აიკლეს და ლუდხანა დაანგრიეს.

**ლენინისტები.**

**მეჟეცკი.** მაისის 9. ლენინისტმა ჯარისკაცმა კრილოვმა და მისმა ამხანაგებმა პრიჩენსკის სასოფლო საზოგადოებაში არყის ქარხანა აიკლეს. ამკლებნი შეიარაღებულნი იყვნენ. კრილოვი და მისი ამხანაგები ბრძოლის ველზე წავიდნენ.

**სათნოების დები.**

**მინსკი.** მაისის 8. სათნოების დათა დელეგატების ყრილობამ ის აზრი გამოსთქვა, რომ ფორმის ტანისამოსი მხოლოდ მედიცინის დებს უნდა შერჩეთო. ფორმის ხმარება სამსახურს გარეშე აუცილებელი არ უნდა იყოსო. წინადადება იყო, მოეხსნათ მოსახვევები, რაც ზოგიერთმა დამ წარყვნაო და უბრალო კაბები ჩაეცვათო. მაგრამ ეს წინადადება უარყოფილ იქმნა. ლაპარაკი იყო დების ცხოვრების და ყოფა-ქცევის შესახებ. დაადგინეს, როცა მოწყალების დას ფორმის კაბა ეცმევა, ისე უნდა მოიქცეს, რომ სათნოების დის წმიდა სახე არ შებღალოსო. ამ წესების დამრღვევნი საამხანაგო სამართალში მიიცემიან.

**ჯარისკაცთა უფლების დეკლარაცია**

**პეტროგრადი.** მაისის 9. მუშათა და ჯარისკაცთა სექციის სხდომაზე სამხედრო მინისტრის თანაშემწემ გენერალ იაკუბოვიჩმა განაცხადა, რომ ჯარისკაცთა უფლების დეკლარაციაზე სამხედრო მინისტრმა ხელი უკვე მოაწერაო. მისი დავალებით იაკუბოვიჩი სთხოვს კრებას აუხსნას ჯარისკაცებს ამ დეკლარაციის ყველა მუხლები და უფრო კი ის ადგილი, სადაც გამოცხადებულია, რომ ამიერიდან ჯარისკაცი თავის უფროსს სამხედრო სალამს მისცემს მხოლოდ თავისს სურვილით. ჩვენ ვთხოვთ ჯარისკაცებს,—სთქვა იაკუბოვიჩმა—შეიგნონ ჩვენი აზრი და მივანდოთ აღმასრულებელ კომიტეტს მოწოდების შემუშავება. სექციამ კერენსკის სახელობაზედ ოვაციები გამართა.

**ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა ყრილობა.**

**პეტროგრადი.** მაისის 9. გუშინ პეტროგრადის ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის მოსამსახურეთა ყრილობა დაიწყო. კრებაზე დაესწრო და სიტყვა წარმოსთქვა ფოსტა-ტელეგრაფის მინისტრმა ირაკლი წერეთელმა.

**რკინის გზის მოსამსახურენი.**

**პეტროგრადი.** მაისის 10. პლეხანოვის და ნეკრასოვის ცნობით რკინის გზის მოსამსახურეებს ჯამაგირი ემატებათ. იმ პირთ, რომელთაც სახელმწიფო ბინა აქვთ ფულის მომატება 15 პროც. შეუმცირდება. ფულის მომატებას დროებითი ხასიათი აქვს ახლად განზრახულ სრულიად რუსეთის რკინის გზის მოსამსახურეთა ყრილობამდე.

# ეროვნული საკითხი

(დეპეშები)

**მაჰმადიანთა ყრილობის რეზოლუცია**

**მოსკოვი.** მაისის 8 დღეს მაჰმადიანთა ყრილობამ სახელმწიფო მმართველობის ფორმის შესახებ რეზოლიუცია მიიღო: ყრილობამ აღიარა, რომ მაჰმადიანთა ინტერესების დასაცავად რუსეთში საუკეთესო წყობილებას ფედერატიულ, ეროვნულ და ტერიტორიალურ საფუძველზე დამყარებული დემოკრატიული რესპუბლიკა იქნებაო. იმ ეროვნებებს კი, რომელთაც საკუთარი მიწა-წყალი არა აქვთ ეროვნულ-კულტურული ავტონომია უნდა მივცეთო. ყრილობამ დაადგინა დაარსოს ერთი მაჰმადიანთა საერთო ეროვნული ორგანო, რომელიც მათს სულიერ და კულტურულ საკითხებს უხელმძღვანელებს.

**ეროვნული ლაშქრის შექმნის საკითხი.**

**კიევი.** მაისის 8. პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭომ უკრაინელთა სამხედრო ყრილობას დეპეშა გაუგზავნა. დეპეშაში ნათქვამია, რომ ეროვნულ ლაშქრების შექმნის საკითხს სრულიად რუსეთის ყრილობა განიხილავსო. საგანგებო კომისია, სადაც ეროვნებათა წარმომადგენლები და საგენერალო შტაბის წარმომადგენლები არიან, ეხლა სათადარიგო ჯარის ნაწილების ახალ მოწყობას და ეროვნულ ჯარის შექმნის საკითხს იხილავსო. მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი სთხოვს უკრაინელთა სამხედრო ყრილობას, უკრაინელ მეომრებს მოწოდებით მიჰმართოს, რათა მათ სრულიად რუსეთის ყრილობას დაუცადონ და თავიანთი ნებით ნურას იზამენ: უკრაინელთა ყრილობამ შეატყობინა: ამ დღეებში პეტროგრადში მოდის დელეგაცია, დელეგაცია მთავრობას და მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოებს წარუდგება ამ საკითხზე მოსალაპარაკებლადაო. ამ მოლაპარაკებაზე იქნება დამოკიდებული უკრაინულ ჯარის შექმნის წესი და საშუალებანი.

**ებრაელები.**

**კიევი.** მაისის 8. მშობელთა ერთი ჯგუფის თაოსნობით გადაწყვეტილია დაარსდეს ებრაელთა სავაჟო გიმნაზია. საერთო საგნების გარდა ებრაულ მეცნიერების ციკლსაც შემოიღებენ.

**ნაციონალ რაზმების შედგენის შესახებ.**

**პეტროგრადი.** მაისის 9. მ. ჯ. დეპ. საბჭოს ჯარისკაცთა სექციამ ნაციონალ რაზმების შედგენის შესახებ რეზოლიუცია გამოიტანა, რომლითაც ნაციონალ რაზმების შედგენა დღესდღეობით არა სასურველად ჰსცნო, ხოლო მოხალისეთა მიერ ჯარის ნაციონალ ნაწილების შევსებას სიხარულით ეგებება.

# ომი და ზავი

## დეპეშები

**მთავარბანაკის ცნობა**

**პეტროგრადი.** მაისის 11. **დასავლეთის ფრონტი.** მაისის 9 მტერმა ლიპიცი-დოლნოის (გალიჩის ჩრდილოეთით) აღმოსავლეთ უბანში სახრჩობელა გაზი გამოუშვა, მაგრამ ქარმა გაჰფანტა.

**რუმინეთის და დასავლეთის ფრონტები.** ღირს-შესანიშნავი არა მომხდარა რა.

**მფრინავთა მოქმედება.** აკუთის დასავლეთით რაიონში მტრის ჰაეროპლანი ჩამოვაგდეთ. ოგნოტის სამხრეთით 25 ვერსის დაშორებით ოსმალთა ბანაკის რაიონში ყუმბარები ჩამოვყარეთ.

**იტალეთის მთავარბანაკის ცნობა.**

**რომი.** მაისის 8. ტრენტინის ასპარეზზე საარტილერიო მოქმედებამ, რომელიც 6 მაისს დაიწყო, გუშინ ადიჯესა და ტერრაანოლოს ღელეებში უკიდურესობას მიაღწია; მაისის 8 ღამით, მეტრო-რიო-ფრედოს და ასტიკოს ღელეებში მტრის იერიშები მხნედ მოვიგერიეთ. საღამოთი, მტერი—ხშირი ჯგუფებით პაზუბიოს მთის პოზიციებისკენ და კონდეჩენტეს დასავლეთით წამოვიდა, მაგრამ ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ დიდად დაზარალებული უკუ ვაქციეთ. იულიის ალპების ასპარეზზე მოგერიებულ იქმნა მტრის იერიშები: სენ-მარკოს ჩრდილოეთის კალთებთან, გორიცის აღმოსავლეთით, ვუკონიაკი და ფაიტის მწვერვალთა შორის, „208“ მთის არგ-მარეში და კარსოს სამხრეთით ჩვენ ავიღეთ „363“ სიმაღლე—პალიოვისა და ბრიტოვოს შორის პლავის აღმოსავლეთით და ვოდიჩისთან პოზიციები გავაფართოვეთ. სხვათა შორის ბევრი ტყვეები წამოვიყვანეთ და ბლომად საომარი მოწყობილება ვიგდეთ ხელთ.

**ინგლისის მთავარბანაკის ცნობა.**

**ლონდონი.** მაისის 8. მაისის 7 ს ჰინდენბურგის ხაზზე ახალი პოზიციები ავიღეთ. ბრძოლის დროს მტერს დიდი წინააღმდეგობა არ გაუწევია. უკანასკნელი ცნობები ნათლად ამტკიცებს, რომ ამ რაიონში გერმანელები დიდად დაზარალებულან. ბიულეკურის დასავლეთით უბნის (2.000 იარდი სიგრძით) გარდა, ჩვენს ხელთ არის ჰინდენბურგის მთელი ხაზი. სკარპის ნაპირებზე გერმანელთა არტილერიამ მოქმედება განაცხოველა.

**მფრინავთა მოქმედება.** გუშინ ჩვენმა მფრინავებმა ბევრს ადგილას დიდი მოქმედება გამოიჩინეს. ზურგს უმაგრებდნენ ჩვენს ქვეითი ლაშქარს. მტრის მოწინავე პოზიციებს ესროდნენ ტყვიისმფრქვეველებს. ჰაერში ბრძოლის დროს გერმანელთა 7 ჰაეროპლანი ჩამოვაგდეთ. ჩვენ 4 ჰაეროპლანი დაგვეკლებია.

**რუსის მზვერავები იქსკიულთან.**

**რიგა.** მაისის 9. ჩვენი მზვერავები იქსკიულის ხიდების სიმაგრესთან მხნედ ჰმოქმედობენ. ყოველდღე რამდენიმე გერმანელი მოჰყავთ ტყვედ.

**ცეპელინები.**

**პეტროგრადი.** მაისის 8. მაისის 5, დღისით კუნძულ ეზელზე გერმანელების ერთი ცეპელინი შევამჩნიეთ, ღამით კი ორი გამოჩნდა. დღისით ჩვენს მფრინავებს გერმანელ მფრინავებთან ბრძოლა მოუხდათ. ორი კაცი დაგვეჭრა.

**სამხედრო მინისტრის ბრძანება.**

**პეტროგრადი.** მაისის 8. სამხედრო და საზღვაო მინისტრმა კერენსკიმ მაისის 5-ში ბრძანება გამოსცა. ბრძანებაში მოყვანილია ასპარეზის დელეგატთა პეტროგრადის ყრილობის მოწოდება რუსეთის მოსახლეობისადმი, სადაც ყრილობა სთხოვს ზურგის ჯარს შეავსოს მოქმედი ჯარის დანაკლისი, მუშებს—თავიანთი შრომით ზურგი გაუმაგრონ მეომარ ამხანაგებს, კაპიტალისტებს—ფულით დაეხმარნენ სამშობლოს, გლეხებს მებრძოლთ სურსათი მიაწოდონ, ინტელიგენტებს—ცოდნა შეიტანონ ასპარეზის ჯარში და რუს ქალებს—მიეშველნენ ქმრებს და შვილებს და მათი ადგილი, სადაც კი შეუძლიანთ, თითონ დაიჭირონ. ეს ბრძანება ჯარსა და ფლოტში ყველგან უნდა იქმნეს წაკითხული.

**კერენსკის მოგზაურობა.**

**პეტროგრადი.** მაისის 8. წუხელის კერენსკი ფინლიანდიაში გაემგზავრა. შემდეგ იგი ასპარეზზე და ბანაკში აპირობს წასვლას.

**გემ „პატრიციო“-ს დაღუპვის გამო.**

**მადრიდი.** მაისის 7. შინაგან საქმეთა მინისტრი გემ „პატრიციო“-ს დაღუპვას ნამდვილ ბოროტ-მოქმედებად სთვლის, თუმცა ისპანიაში ისეთებიც არიან, ვინც ამ საქმეს დანაშაულად არა სთვლის.

**გემების დაღუპვა და შვეციის პროტესტი.**

**სტოკჰოლმი.** მაისის 9. ოფიციალად იტყობინებიან, რომ გემების: „ფეზერლანდის“, „ვიკენის“, და „ასპენის“ და მასთან ერთად შვეციის სურსათის დაღუპვის გამო შვეციის მთავრობამ თავის ბერლინელ ელჩს მიანდო—გერმანიის მთავრობას პროტესტი გამოუცხადოს.

სტოკჰოლმში მყოფმა ბერლინელმა ელჩმა მწუხარება გამოსთქვა ამ ინციდენტის შესახებ.

**ამერიკის სესხი.**

**ლონდონი.** მაისის 7. ვაშინგტონიდან იუწყებიან, სენატმა 3342 მილიონ დოლარის სესხის კანონ-პროექტი ერთხმივ დაადასტურაო.

**სიმშილობა ათინაში.**

**ათინა.** მაისის 8. დღეს ფურნებში ხალხს პურის მაგიერად ორმოცდა გრამ ქიშმიშს აძლევდნენ.

**უნგრელი სოც.-დემოკრატები სტოკჰოლმის სოციალისტთა კონგრესზე.**

**სტოკჰოლმი.** მაისის 7. ბუდაპეშტიდან იტყობინებიან, რომ უნგრელმა სოც.-დემ. სტოკჰოლმში გასაგზავნად დასახელებულ ვოლტნერი, ბეკანი, გასამი, კურტა, ბუმონგარი და იამარ. მათ პასპორტები უკვე მისცეს. ვოლტნერი უკვე სტოკჰოლმშია.

**მინისტრთა კრიზისი ჩინეთში და ომის საკითხი.**

**პეკინი.** მაისის 6. მინისტრ-პრეზიდენტის დუნ-ცზირგუის რეაქციონური მოქმედება იმაში გამოიხატა, რომ მან პროგრესიულ გაზეთის „პეკინ-გაზეტტ“-ის რედაქტორი დაატუსაღა. პარლამენტმა განიხილა გერმანიასთან ომის დაწყების კანონ-პროექტი და განაცხადა, რომ ომის გამოცხადება მხოლოდ მაშინ შეიძლება, როდესაც პრემიერ მინისტრი გადადგებაო.

**პეკინი.** მაისის 1. წარსულ კვირას არეულობა იყო. ამის გამო ლიბერალმა მინისტრებმა მინისტრობას თავი დაანებეს. მინისტრთა კრიზისი ჩამოვარდა. ამის და მიუხედავად ეჭვი არავისა აქვს, რომ ომის საკითხი დადებითად გადასწყდება და რომ იგი მხოლოდ პარტიებს შორის საპოლიტიკო ბრძოლის საშუალებაა. ოპოზიცია, რომელიც პარლამენტის უმრავლესობაა, ამბობს, რომ პასუხისმგებელი სამინისტრო უნდა იყოსო, ამისათვის კი საჭიროა, რომ ეხლანდელი პრემიერ-მინისტრი გადადგესო. ეჭვი აქვთ, რომ მას სამხედრო დიქტატორობა უნდა. ამ საქმეში მას უნდა დაეხმარონ პროვინციელი მთავარსარდლები, რომლებიც ეხლა პეკინში არიან შეგროვილნიო. ხმები გავრცელდა, რომ უცხო ქვეყნების ზოგიერთი მთავრობა ეხლანდელ პრემიერს მხარს უჭერსო. ამ ხმებმა ცუდად იმოქმედეს.

**კერენსკი ჰელსინგფორსში.**

**ჰელსინგფორსი.** მაისის 9. მოვიდა სამხედრო-საზღვაო მინისტრი. მას შეეგებნენ: ბალტიის ფლოტის ამირალი, შტაბის წევრები და ციხის კომენდანტი.

სადგურიდან კერენსკი საამირალო გემით წავიდა.

**აფეთქებანი.**

**სტოკჰოლმი.** მაისის 10. ბერლინიდან დეპეშით იტყობინებიან: მაისის 9 კოლბაუმის საქიმიო ქარხნებში ადლერსჰოფში და რონდენბურგში ქარხნების აფეთქება მოხდა. ზარალი დიდია. მომავალ ხიფათის მოლოდინში,—ახლო-მახლო სახლები მცხოვრებლებს დააცლევინეს.

**ლონდონი.** მაისის 8. გუშინ ღამით, მეხი დაეცა სამხედრო ქარხანას, რომელიც მოკავშირეთათვის იარაღს ამზადებდა. დაშავებულია 3 კაცი. ნივთიერი ზარალი დიდია.

**გაზეთებიდან**

**გერმანელთა წყალქვეშები**

ნოვოროსიისკიდან იტყობინებიან: ამ დღეებში იქ მისულა ტრანსპორტი, რომელსაც შავ ზღვაზე პატარა ნავი დაუტყვევებია. ნავში 7 გერმანელი და 1 მადიარი ყოფილა. გაჩხრეკის შემდეგ ნავში აღმოჩნდა დალუქული ბენზინი. აქვე ნავის ახლოს შენიშნეს ზღვაში მოცურავე რაღაც საგნები. შემდეგ აღმოჩნდა, რომ ეს ბენზინის ბოჭკები იყო.

ნოვოროსიისკში დიდი ხანია ამბობენ: [illegible]-მოღალატენი გერმანელ ოსმალთა წყალქვეშებს ბენზინით და სურსათით რომ არ ჰშველოდნენ, ისინი შავზღვაში ვერ ივლიდნენ და ამდენი გემიც არ დაგვეღუპებოდაო. ჯერ ისევ ძველი მთავრობის დროს ლაზარევსკის ახლოს, სოჭიდან 70 ვერსის მანძ. რკინის ცარიელი ჰურჭელი აღმოაჩინეს.

# „საქართველოს“ დეპეშა

**ბახმაროს აგარაკი.**

**ადესა.** მაისის 8. გთხოვთ ეს დეპეშა მოათავსოთ თქვენს გაზეთში—სააგარაკო ყრილობის საყურადღებოდ. ბახმაროს უმაღლესი და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა მავალებს მე, როგორც ბახმაროს სასანიტარო კომისიის წევრს და აგრეთვე მის მშვენიერ კლიმატის თაყვანისმცემელს—უმორჩილესი თხოვნით მივმართო საკურორტო ყრილობას—რათა დაკმაყოფილებულ იქმნეს საზ. „ჯანმრთელობის“ შუამდგომლობა დაუყოვნებლივ დაუმორჩილონ ბახმარო სააგარაკო პირობებს... ბახმაროს აღყვავებლად ახლავე საჭიროა აღმოჩენილ იქმნას მატერიალური და მორალური დახმარებანი. ყოველ წლივ მომსვლელ მოაგარაკე ხალხისთვის ეხლავე ზომები იქნას მიღებული ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად.

აგრეთვე აღმოეჩინოს დახმარებანი სხვა კავკასიის აგარაკებს, ყველამ დაინახოს ახალი ცხოვრების განთიადი, რომელიც კულტურულად გაზრდის და ააყვავებს საყვარელ სამშობლოს.

პრივატ-დოცენტი მოხეშვილი.

# ქრონიკა

## კავკასია

◆ **მაჰმადიანთა დარბევა ყარსში.** უკანასკნელ ხანებში პროვოკატორები ხმებს ავრცელებდნენ თითქოს ადგილობრივი მაჰმადიანობა რუსთა ჯარისკაცების წინააღმდეგ გალაშქრებას აპირებდნენ. ამ ბნელ პირთა აგიტაციამ გასჭრა და 16 აპრილს რუსის

ჯარისკაცები მუშტით და იარაღით დაერივნენ ბაზარში მოსულ მაჰმადიანობას. ნივთებს ხელიდან ჰგლეჯდნენ, ხოლო მაჰმადიანებს საპოლიციო უბანში ჰზავნიდნენ. ბრბო და ჯარისკაცები მეჩეთს შემოეხვივნენ და მის გაჩხრეკას ჰლამობდნენ. შემდეგ აახრეს მეჩეთი და მოჰკლეს ერთი მოხუცი. შემდეგ მოვიდნენ საოლქო აღმასრულებელ კომიტეტის და მუშ. და ჯარ. დეპ. საბჭოს წარმომადგენლები და განაცხადეს, რომ საოლქო კომიტეტისგან მაჰმადიანთა აწიოკების შესახებ არავითარი ბრძანება არა ყოფილაო. საღამოთი გამართულ კრებაზე, რომელიც იმავ კომიტეტის და საბჭოს წარმომადგენელთაგან შესდგა, სომხის მღვდელმა განაცხადა, რომ როგორც არტაანში ისე სხვა ადგილებში შეჩნეულია მაჰმადიანთა შეიარაღება. მღვდლის სიტყვით მაჰმადიანები იარაღს მალაკნებისგან, ბერძნებისგან და სომხებისგან შოულობენ. შემდეგ თავმჯდომარემ მაჰმადიანთა შეიარაღების შესახებ ყარსის ოლქის სხვა და სხვა კუთხეებიდან რამდენიმე დეპეშა მიიღო. კრების თავმჯდომარემ განაცხადა, რომ იარაღი სომეხთა წინააღმდეგ კი არ უნდათ მაჰმადიანებს, არამედ ოსმალ აგიტატორების წაქეზებით რუსის ჯარისთვისო. შემდეგ ბაქ. მაჰმ. საქვ.-მოქ. საზ. კომისიის თანაშემწემ უარჰყო თავმჯდომარის აზრი და განაცხადა, რომ ეს სიცრუე, ცილისწამება და პროვოკაციაა. შემდეგ კრებამ დაადგინა ბეჭედი მოეხსნას მეჩეთსაო. მეჩეთი გაძარცულია. მის კარებში ყარაული ისევ დგას.

◆ **თბილისის პოლიტეხნიკუმი.** პროექტის თანახმად, თბილისის მომავალ პოლიტეხნიკუმს ოთხი ფაკულტეტი ექნება: სასოფლო-სამეურნეო, საქიმიკო, საგიდრომექანიკო. ამას ორი განყოფილება ექნება: საგიდროტეხნიკო და საგიდრო-ელექტრო-სამექანიკო, მეოთხე ფაკულტეტი საეკონომიო იქნება—საეკონომიო და საკომერციო განყოფილებებით. პოლიტეხნიკუმში ქალებსაც მიიღებენ, ოღონდ კი მათ ვაჟების სავანათლებო ცენზი უნდა ჰქონდეთ. პოლიტეხნიკუმი 1917 წ. მკათათვის 1-ს დაიწყებს მოქმედებას. ახალი ამ ინსტიტუტის წესდებაში ის იქნება, რომ ყოველ თანამდებობაზე, როგორც სამოსწავლო ისე სამეურნეო ნაწილებში დირექტორობიდან მოყოლებული, შეიძლება ქალებიც დაინიშნონ.

◆ **პროვოკაცია ბაქოში.** ამას წინეთ ქალაქში თოფის სროლა ასტყდა. ქალაქში ხმები გავრცელდა სომეხ-თათართა შეტაკება მოხდაო. შემდეგ გამოირკვა, რომ ეს ორინი ხულიგნებს განზრახ მოეწყოთ.

◆ **პროვოკაცია ნუხაში.** ადგილობრივ მაჰმადიანებს სომეხთა ამოჟლეტის განზრახვას აბრალებენ. პროვოკატორებმა მათ წინააღმდეგ წააქეზეს ადგილობრივი რუსის ჯარისკაცები, რომელნიც ერთი დღის შემდეგ თვითვე დარწმუნდნენ, რომ ბრალდება ყოველგვარ საფუძველს იყო მოკლებული.

◆ **გენერალი მდივანი** დანიშნულია კავკასიის მხედრობის მთავარ უფროსად.

◆ **ღვინის აკრძალვის გამო.** ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტს მუდამ დღე აურებელი საჩივრები მისდის იმ გაჭირვების გამო, რომელიც გამოიწვია ღვინის ვაჭრობის აკრძალვამ. ამის გამო კომიტეტმა გადასწყვიტა ამ მოკლე დროში მოიწვიოს მევენახეთა და მეღვინეთა ყრილობა, რომელმაც უნდა გადასწყვიტოს საკითხი ღვინის ვაჭრობის შესახებ.

◆ **ღვინის ვაჭრობა.** თბილისის აღმასრულებელმა კომიტეტმა განიხილა კომისიის მოხსენება შესახებ ღვინის ვაჭრობის განახლებისა და დაადგინა, სანამ თავის განაჩენს დაადგენდეს ამ საგნის შესახებ, სალდათთა დეპუტატების აზრი გაიგოს. ხსენებული კომისია იმ აზრისაა, რომ ღვინის ვაჭრობის ნება უნდა განახლდეს.

◆ **გასანთავისუფლებელი ჯარისკაცნი.** თბილისის მუშათა დეპუტატების საბჭომ ტელეფონით შემდეგი ცნობა მიიღო გენერალ დუბოვსკოისაგან: ხელ-ახლა გაცნობებთ, რომ სამხედრო ბეგარისაგან განთავისუფლებულ უნდა იქმნან ის პირნი, რომელნიც დაბადებულნი არიან 1898 წლის შემდეგ და შეცდომით ჩარიცხულნი 1919 წლისა და წინა წლების გასაწვევთა სიებში, მაგრამ ვადაზე ადრე გაუძახეს.

◆ **საგლეხო ბანკის მზრუნველობა.** ამ მოსაზრებით, რომ 1917 და 1918 წლებში მომეტებული ადგილები მოიხნას და დაითესოს, საგლეხო ბანკის ამიერ კავკასიის განყოფილებამ დაადგინა ნება მისცეს გლეხებს თავისუფლად მოხნან ბანკის ადგილები, მაგრამ იმ პირობით კი, რომ მოსავლის აღების შემდეგ ბანკს ფულად და ანუ ჰირნახულით ის ღალა მისცენ, რასაც ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტი გადასწყვეტს.

◆ **ოსმალეთის დაპყრობილ ოლქების მმართველობის დელეგატთა ყრილობა.** გუშინ, ქალაქის გამგეობის დარბაზში, გაიხსნა ოსმალეთის დაპყრობილ ოლქების სამხედრო მმართველობის დელეგატთა ყრილობა. კრებაზე დასწრება ყველას შეუძლია. წინასწარი პროგრამა შემდეგია: 1) კავკასიის არმიის მიერ მიღებულ რეზოლიუციებთან დამოკიდებულება შემდეგ კითხვებზე: დამოკიდებულება დროებითი მთავრობასთან, დამოკიდებულება ომთან, დამფუძნებელი კრება, დემოკრატიული რესპუბლიკა, მიწის საკითხი და მუშათა საკითხი. 2) საზოგადო მდგომარეობა ოლქებში, 3) საზოგადო მდგომარეობა მართველობაში, 4) სასურსათო საკითხი, 5) სანიტარულ-საექიმო, 6) საზეითლო საქმე, 7) ტოპოგრაფიული და სამეცნიერო გამოკვლევა აღებულ ნაწილისა, 8) არქეოლოგიური გამოკვლევა, 9) ტეხნიკურათ საქმის დაყენება.

◆ **დროებითი მთავრობა იარაღის ხმარების შესახებ.** კომისარმა აკაკი ჩხენკელმა ამიერ-კავკასიის აღმასრულებელ კომიტეტებს კერენსკის შემდეგი დეპეშები გაუგზავნა, დაუყოვნებლივ განუმარტეთ ჯარებს და მცხოვრებთ, რომ პოლიტიკურ ბრძოლაში იარაღის ხმარება შეუძლებელი და აკრძალულია. თავისუფლება რამდენიმე ცალკე ჯგუფის თვითნებობას როდი მოასწავებს. თუ ასეთ თვითნებობას ადგილი ჰქონდა, ეხლავე უნდა მოისპოს. დროებითი მთავრობის დანიშნულებაა ეხლანდელ მომენტში სრული მშვიდობიანობა, წესიერება და კანონიერება დაამყაროს.

## საქართველო.

◆ **ქართველ მასწავლებლების მოწოდება.** სრულიად საქართველოს საშუალო სასულიერო სასწავლებელთა მასწავლებლების მიმართ შემდეგი მოწოდება გამოვიდა. ამხანაგებო მასწავლებელნო! დადგა დრო საქართველოს სკოლების განახლებისა. თუ რამე ფასეული, ცოდნა და გამოცდილება გვაქვს, ჩვენ უნდა მოვახმაროთ ამ განახლებას და შეერთებულის ძალით შევქმნათ ისეთი პირობები სკოლის ცხოვრებისა, რომ მან მოგვცეს ღირსეული მოქალაქენი და მამულიშვილნი. როგორც მოგეხსენებათ, დღევანდლამდე გარემოება ხელს არ გვიწყობდა ნამდვილ პედაგოგიურ საფუძველზე მოგვეწყო მომავალ თაობის აღზრდის საქმე და ამიტომ მოუმზადებელნიც შევხვდით ამ დიად ჟამს საქართველოს განახლებისას. მაგრამ ვიმედოვნებთ, რომ დაუღალავი შრომა ქართველ მასწავლებელთა და მათი ერთგულება საქმისადმი, მალე გამოასწორებს ამ ჩვენს ნაკლს. ამიტომ, ჩვენ ქუთაისის სასულიერო სემინარიისა და სასწავლებლის ქართველ მასწავლებელთა კრებულმა დავაარსეთ ბიურო ზემოდაღნიშნულ დიად საქმის მოსაწესრიგებლად თქვენის დახმარებით. მოგიწოდებთ თქვენ, ამხანაგებო, მობრძანდეთ ქ. ქუთაისს, ამა წლის 23 მაისს, საღამოს შვიდ საათზე, სასულიერო სასწავლებლის შენობაში მომავალი ჩვენი მოქმედების გეგმისა და სხვა პროფესიონალურ საკითხების დასამუშავებლად. მოწოდებას ხელს აწერენ ბიუროს თავმჯდომარე ი. არსენიშვილი. წევრნი: ი. ეკალაძე-ცინცაძე, ონოფრე შუშანია, ვუკოლ ბერიძე, ალ. მგალობლიშვილი, ან. გორგაძე, თ. ფერაძე და მდივანი ფ. შავგულიძე.

◆ **ნ. ჟორდანია საკოალიციო სამინისტროს წინააღმდეგ.** თბილისის მუშათა საბჭოს უკანასკნელ სხდომაზედ კამათი იყო საკოალიციო სამინისტროს შესახებ. ნოე ჟორდანია იმ მოსაზრებას იცავდა, რომელზედაც თბილისის საბჭო ეყრდნობოდა. რომელმაც კოალიციური სამინისტროს უარმყოფი რეზოლიუცია მიიღო და ამბობდა: „არსებითად მას შემდეგ, არაფერი არ შეცვლილაო. არავითარი საფუძველი არა გვაქვს, რომ წინანდელი პოზიცია შევცვალოთო. სამინისტროები, რომელსაც სათავეში ამხანაგები ჩაუდგნენ, უმნიშვნელოა, ხელოვნურად შექმნილი. ჯერ ისტორიაში არ ყოფილა ისეთი მაგალითი, რომ სოციალისტური პარტიის წარმომადგენლები შეულიყვნენ კოალიციურ სამინისტროში ისე ხელცარიელები და ისეთი ცარიელი პორტფელები მიეღოთ, როგორც ეს ჩვენს ამხანაგებს მოუვიდათო. კოალიციურ სამინისტროში ამხანაგების შესვლით სრულიად არ შეცვლილა მდგომარეობა. მართველობას იმიტომ ვუთმობთ ბურჟუაზიას, რომ წესრიგის დამყარებაში ის ჩვენზე უფრო არის დაინტერესებული. ბურჟუაზიის მხრივ უსაფუძვლო მუქარამ დააშინა ამხანაგები. პეტროგრადის საბჭოს მიერ გადადგმული ნაბიჯი უსათუოდ შეცდომათ უნდა ჩაითვალოსო. იმათ არ უნდა მიეღოთ თავის თავზე ასეთი მძიმე პასუხისმგებლობა რევოლიუციის საქმეში“.



## პირველი ქართველი მინისტრი რუსეთში.

ფოსტა-ტელეგრაფის მინისტრი

## ირაკლი წერეთელი.

ფოსტა-ტელეგრაფის ახალი მინისტრი ირაკლი (კაკო) წერეთელი, შვილია ცნობილ მწერლის გიორგი წერეთლისა. იგი სულ ახალგაზდაა, 35 წლისა. პირველდაწყებითი სწავლა თბილისის მე-2-ე გიმნაზიაში მიიღო, რის შემდეგაც სწავლა მოსკოვის უნივერსიტეტში დაასრულა. 1901 წელს, იგი სტუდენტების არეულობის გამო ციმბირს იქმნა გაგზავნილი. ციმბირიდან დაბრუნებისას, 1903 წ. მისი ხელმძღვანელობით გამოდიოდა ჟურნალი „კვალი“. 1907 წელს კი ქუთაისის გუბერნიამ მე-2-ე სათათბიროს დეპუტატად აირჩია. აქ მალე მოიხვეჭა სახელი. ცნობილია მისი ქება ჟორესის მიერ. პროფესორმა უნებეისკიმ მის შესახებ „ევროპის ისტორიაში“ წერილი მოათავსა. სახელმ. სათათბიროს დათხოვნის შემდეგ იგი გადასახლებულ იქმნა ციმბირში და რუსეთში ამ ორი თვის წინედ დაბრუნდა. ახლა იგი დანიშნულია ფოსტა-ტელეგრაფის მინისტრად. ამგვარი სამინისტრო რუსეთში წინედაც არსებობდა, მაგრამ მალე მოისპო.

◆ **პ. ინგოროყვას ლექცია.** საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საბჭოს წინადადებით, მაისის 11-ს, პ. ინგოროყვამ თავისი ლექცია ისევ წაიკითხა ავტონომიურ საქართველოს ტერიტორიის შესახებ. ლექტორმა განსაზღვრულად აღნიშნა ისტორიული საზღვრები საქართველოსი და აგრეთვე დაწვრილებით შეეხო სომხეთისა და ადერბეიჯანის საზღვრებს. ლექციას დიდძალი ხალხი დაესწრო. აზრათ აქვთ სთხოვონ ლექტორს, რომ ეს ლექცია ქუთაისშიაც წაიკითხოს და აგრეთვე ისევ თბილისში რუსულად.

◆ **ქართველ სოციალისტ-რევოლიუციონერთა ჯგუფს** გარდაუწყვეტია სოც. რევ. პარტიას ცალკე ქართულ სექციად გამოეყოს. მიზეზი ამ გამოყოფისა ის არის, რომ თბილისის სოც. რევ. პარტიის მეთაურები ქართველთა ეროვნულ საკითხის გადაჭრას ეწინააღმდეგებიან.

◆ **ფშავ-ხევსურები და ქისტები.** ვინაიდან ფშავ-ხევსურები განუწყვეტლად სჩივიან, რომ ქისტები თავს გვესხმიან და გვარბევენო, მუშათა დეპუტატების საბჭოსთან არსებულმა საგუბერნიო სასოფლო კომისიამ გადასწყვიტა სთხოვოს ამიერ კავკასიის კომისარიატს გაგზავნოს თიანეთის მაზრაში ჯარისკაცნი ფშავ-ხევსურების დასაფარავად ქისტებისაგან.

## თბილისი.

◆ **სოციალ.-რევოლიციონერების კლუბი.** თბილისის სოც.-რევოლუციონერებმა გადასწყვიტეს მოაწყონ თავიანთი პარტიული კლუბი და სემინარია პროპაგანდისტების მოსამზადებლად.

◆ **თბილისის მილიციის მუშაობა.** როგორც მილიციის უფროსი აცხადებს, თავისი ერთი თვის მოღვაწეობის განმავლობაში თბილისის მილიციას აღმოუჩენია 75 ქურდობიდან 61. ნაქურდალ ნივთებიდან პატრონთათვის დაუბრუნებია—12.838 მანეთის საქონელი და 6.000 მანეთი ფულად. მილიციის უფროსი კოგანი სთხოვს ქალაქის მცხოვრებთ თითონაც ეცადონ თავიანთ სახლების დაცვას ქურდებისაგან, მაგალითად, გააფრთხილონ მეეზოვეები ან ღამით სახლის ფანჯრებს და კარებს ღიას ნუ დასტოვებენ როცა სადმე წავლენ, კარები დაჰკეტონ და სხ. თორემ მილიციონერები თავიანთ ძალ-ღონით ვერ გასწვდებიან მთელ ქალაქს.

◆ **ქართულ ენის მასწავლებელთა კრება.** დღეს, შაბათს, 13 მაისს, საღამოს 7 საათზე, ქართულ გიმნაზიაში დანიშნულია ქართული ენის მასწავლებელთა კრება ძლიერ საჭირო კითხვების განსახილველად. საშუალო და უმაღლეს პირველ დაწყებითი თბილისის სასწავლებლის მასწავლებლებს სთხოვენ უთუოდ მობრძანდნენ.

◆ **სასურ. კომ. არჩევნების ბოიკოტი.** „თბ. მუშ. დეპუტ. უწყებები“ ჰსწერს: მთელს თბილისში საუბნო სასურსათო კომიტეტების არჩევნებმა მეტის აღფრთოვანებით ჩაიარა. დემოკრატია ერთსულოვნად შეერთდა სასურსათო კრიზისის მოსასპობად სოლოლაკის პლუტოკრატიამ კი ათაბეგოვის მეთაურობით, სასურსათო კომიტეტების არჩევნებს ბოიკოტი გაუმართა. სხვათა შორის სოლოლაკელებმა ბოიკოტზედ თავს მეეზოვეებსაც კი მოაწერინეს ხელი.

◆ **მუშათა დელეგატები.** მაისის 11-ს კრება ჰქონდათ თბილისის მუშათა პროფესიონალ კავშირების წარმომადგენლებს. გამოცხადდა 10.200 შეკავშირებულ მუშათა დელეგატები. კრებამ თავის დელეგატებად მთელი რუსეთის პროფესიონალ კავშირების წარმომადგენელთა ყრილობაზე დასასწრებლად პეტროგრადში ხელაძე და ივანოვი აირჩია.

◆ **ქალაქის არჩევნების სამზადისი.** ქალაქის აღმასრულებელმა კომიტეტმა გადასწყვიტა, რომ იმ კომისიაში, რომელმაც ქალაქის საარჩევნო სიები უნდა დაამზადოს და საერთოდ ქალაქის თვითმართველობის განახლებას ნიადაგი მოუმზადოს, აირჩიოს ნ. რამიშვილი, ბროდსკი, აბრამიანი, ლომთათიძე და ი. დოლუხანოვი; მათ კანდიდატებად—ერზიკიანცი და მინასიანცი.

◆ **ბოროტ მოქმედებანი თბილისის სადგურზე.** თბილისში სადგურზე ხშირად, სალდათურად ჩაცმულნი მგზავრებს ბარგის ზიდვას ჰშველიან. ეს პირნი ამით სარგებლობენ და ბოროტმოქმედობენ. ამიტომ გადაწყვეტილია ბრძანება გამოიცეს და სალდათებს მებარგულეობა აეკრძალოთ. ვინც ამ ბრძანებას დაარღვევს იგი უნდა დაიჭირონ.

◆ **უკვალოდ დაკარგულნი.** მაისის 9, გიორგი უსეინაშვილის სახლიდან გამოვიდა პატარა ქალი, დაახლოვებით თერთმეტი წლისა, მანია ბურძგლა. მას აქეთ იმის შესახებ ვერაფერი გავიგეთ. გთხოვთ თუ იცით იმის შესახებ რამე შემატყობინეთ. 1 ქუჩა, დუშეთის შესახვევი, № 3, გიორგი უსეინაშვილს.

◆ **ფალავან ვახტუროვის სიკვდილი.** მაისის 11-ს ღამით, ოლღას ქუჩაზე, ტელეფონის ბოძს დაეჯახა გაქანებული ავტომობილი, რომელშიაც ცნობილი ფალავანი ვახტუროვი იჯდა. ვახტუროვი ავტომობილიდან ქვაფენილზე დაეცა, მაშინვე სული განუტევა.

## ქუთაისი.

◆ **ქართველ მხედართა კავშირი.** ქუთაისში უკვე დაარსდა ქართველ სამხედრო პირთა კავშირი, რომელიც ამ დღეებში თავის კლუბს გახსნის და მოქმედებას დაიწყებს.

## პროვინცია

◆ **თამარობა თელავში.** წელს თელავში თამარობას საზოგადოება საერთოდ გულ ცივად შეხვდა. მაგრამ შარშან ქართველთა ყველა სავაჭრო-სახელოსნოები და დაწესებულებები დაკეტილი იყო, წელს კი არა. თამარობა მხოლოდ ქალებმა იდღესასწაულეს: დილით „ედემში“ (ბაღია) საჩაიე გამართეს, შუადღისას საკრებულოს დარბაზში ყავა, ხოლო საღამოთი კი „თამარობის საღამო“, სადაც სხვათა შორის წარმოადგინეს მეხუთე მოქმედება გუნიას „და-ძმისა“. ხალხი ბლომად დაესწრო.

◆ **წარმოდგენები თელავში.** თელავში აპრილის ბოლოს ორი წარმოდგენა გაიმართა, ერთი აპრილის 29, სომხების საქვ. საზოგ. სკოლების სასარგებლოდ და ერთიც სოც. ფედერალისტთა პარტიის სასარგებლოდ.

◆ **სეტყვა.** ქვემო ქიზიყს დიდი უბედურება დატყდა ამ დღეებში მოვიდა სეტყვა, რომელმაც ნახევარ საათს გასტანა. სეტყვა კაკალზე ბევრად მსხვილი იყო, ვენახები ძლიერ დააზიანა. მოხუცებსაც არ ახსოვთ ასეთი სეტყვა. ზარალი აუწერელია. ჭირნახულს გარდა დააზიანა საქონელი და ფრინველები.

◆ **ძაღლ-ყურძენას ფოთლის ფასი.** თელავში მოვიდნენ კავკასიის სამკურნალო ორგანიზაციის რწმუნებულნი და მოწოდება გამოსცეს. ხალხს ურჩევენ და სთხოვენ დაკრიფონ რაც შეიძლება ბევრი ძაღლ-ყურძენას (გიჟანა) ფოთოლი დაჰკრიფონ. ამ ფოთლის რამდენიმე ნაირი წამალი კეთდება. ეს წამალი მეომართათვის ძალიან საჭიროა, მაგრამ ბაზარზე ნაკლებ მოიპოვება. ფოთოლი ძვირადა ღირს. გამხმარ ერთ ფუთ ფოთოლში, 40 მანეთს იძლევიან. ნედლ, ახლად დაკრეფილ ფოთოლში 4 მ. ფუთში. ასე რომ სადაც კი ბევრია ეს მცენარე, ფოთლების მკრეფელი დღიურათ 4—7 მანეთამდე გამოიჩენს.

◆ **ყოფილი ბოქაული კუხალეიშვილი.** კავკასიის ფრონტიდან ოზურგეთში მოიყვანეს გურიანთის ნაწილის ბოქაულად ნამყოფი პრაპ. რაჟ. კუხალეიშვილი. იგი ცნობილ ზაკუსოვის დროს მსახურობდა. ჰბრალდება ხალხის დარბევა და ქრთამის აღება. აღმას. კომ. განკარგულებით იგი სამაზრო ციხეში წაიყვანეს.

◆ **მეეტლეთა შეერთება.** ოზურგეთში შეერთდნენ ყველა მეეტლეები. აირჩიეს გამგეობა, შეიმუშავეს მიმოსვლის ახალი ნიხრი და ამიერიდან პირობას იძლევიან სრული წესიერება და ზრდილობა იქნება დაცულიო.

◆ **მომრიგებელი კამერა.** ოზურგეთში ნოქარ-ხელოსნებიც ირჩევენ მომრიგებელ-შემათანხმებელ შუა-კაცებს.

◆ **საპოლიტიკო კურსები ოზურგეთში.** ვიქტორ ლონტი და გიორგი შილაკაძე საპოლიტიკო კურსების გახსნას აპირებენ.

◆ **სეტყვა.** ქიზიყში მაისის 4 საშინელმა სეტყვამ მთლად გაანადგურა სამხრეთ-ქიზიყის მთელი წლიური ჭირნახული. ხეხილი და ვაზი ხომ სულ ჩამორეგვა. დასეტყვილია ს. ბოდბე, ბოდბე-ხევი, ზემო და ქვემო მაჩხაანი, მირზაანი, ჯუგაანი და ტიბაანი... ასეთსავე დღეშია—ალაზნის ველზედ გაშენებული ქუმბათ-ხირსის ვენახები. ზოგან კვერცხზედ უმსხო სეტყვას უშენდა. სხვათა შორის ს. ქვემო-მაჩხაანი და ფანიანი ჯერ ისეც აუტანელ პირობებში იყვნენ და ეხლა ხომ მათი ცხოვრების სახსარი სულ გაწყვეტილია. ამ სოფლებს ეს მეშვიდე წელიწადია მოსავალი სრულებით არ მოსდით და ეხლა ხომ წლევანდელ ჭირნახულის იმედი დღეიდანვე უნდა დაიკარგონ. ვერც წარსულმა და ვისაც აწმყო სოფლურმა მმართველობამ და ვერც სოფლათ არსებულმა შემნახველ-გამსესხებელმა საზოგადოებამ გაჭირვებულ ხალხს, სურსათ-სანოვაგით ვერაფერი დახმარება ვერ აღმოუჩინეს. ამ სოფლებმა სურსათ-სანოვაგის შესაძენად ლამის მთლად გამოლიონ საქონელიც და საცხოვრებელიც. საჭიროა დახმარება. მაჩხაანს მარტო ჰშიან და პურს თხოულობს.

◆ **ფოსტის უვარგისობა ზაქათალაში.** აქ ფოსტის საქმე ძალიან მოუწყობელია. ფოსტა უფრო მეტათ ურმებით დააქვთ, რის გამოც ფოსტა ხშირად სამ-ოთხ დღეს იგვიანებს. ხალხი მოუთმენლად მოელის გაზეთს და სხვა ახალ ამბავს, მაგრამ, საუბედუროთ, ხშირად იმედები უცრუვდება. საჭიროა თვალყური ადევნოს ვისგანაც ჯერარს ამ აუცილებელ სულიერ საზრდოს მოგვარებას.

◆ **მედავითნეთა წილი ეკლესიის შემოსავალში.** თელავის სასულიერო სასწავლებლის შენობაში, მაისის 5-ს, თელავის მაზრის პირველ ოლქის საბლაღოჩინოს ეკლესიის მსახურთა ყრილობა გაიმართა. ყრილობამ აირჩია საბლაღოჩინო საბჭო, ხუთი წევრი და ხმის უმეტესობით (13 ხმა, წინააღმდეგ 6-სა) დაადგინა—მედავითნეს და შტატების მთავრებს დღიურ შემოსავლის ნაწილი 1905 წლის დადგენილების თანახმად მიეცეს, ე. ი. მანეთიდან მედავითნეს ორი აბაზი, საკრებულო ტაძრის შტატებში [illegible] ხოლო მედავითნეს 2 წილი.

◆ **სოფლის მასწავლებელთა გასაჭირი.** ცხინვალის მხარის მასწავლებელნი ამ ბოლო დროს არა ჩვეულებრივ სიძვირის გამო დიდ გაჭირვებას განიცდიან. მით უმეტეს, რომ აგერ მეოთხე თვეა რაც ჯამაგირები არ მიუღიათ და თვეში მხოლოდ 31 მანეთს და 2 კაპეიკს იღებენ. საჭიროა, რომ სახალხო მასწავლებელთა დელეგატების კრებაზედ ამორჩეულმა კომისიამ მალე მიაქციოს ამ გარემოებას ყურადღება და კუთვნილი ჯამაგირი, რაც შეიძლება მალე გაუგზავნოს მასწავლებლებს.

◆ **ქართულის არ მცოდნე კომისარი.** ცხინვალის სარაიონო კომისარათ დანიშნულია ზასოხაშვილი, ტომით ოსი, რომელმაც ქართული არ იცის, თუმცა ამ რაიონში თითქმის ერთი სოფელიც არ არის ოსებით დასახლებული.

◆ **გლეხთა საბჭო.** ცხინვალში გლეხთა სარაიონო საბჭო დაარსდა.

## ეროვნულ-დემოკრატული პარტია

### საქ. ერ.-დემ. პარტიის პირველი და დამფუძნებელი ყრილობა.

**საქარ. ერ. დემ. პარტიის მთავარი კომიტეტის დადგენილებით მაისის 28, თბილისში მოწვეულ იქნება პირველი და დამფუძნებელი კრება ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიისა.**

### ყრილობის წეს-რიგი.

I. საპროგრამო საკითხები:
ა. საქართველოს ავტონომია.
ბ. საქართველოს ტერიტორია.
გ. საქართველოს ფინანსები.
დ. სააგრარო საკითხი საქართველოში.
ე. ავტოკეფალია და სარწმუნოებათა საკითხები საქართველოში.

II. სატაქტიკო საკითხები:
ვ. პოლიტიკური მომენტი: რევოლუცია, ომი და ზავი, ახალი მთავრობა, დამფუძნებელი კრება.
ზ. საქართველოს მოსაზღვრე ერები და ოსმალეთის საქართველოს საკითხი.
ჱ. საქართველოს საპოლიტიკო პარტიები და ეროვნული საბჭოს მოწყობა.

III. საორგანიზაციო საკითხები:
თ. მოხსენება მთავარ კომიტეტისა.
ი. მოხსენებანი ადგილობრივი კომიტეტებისა.
კ. პარტიული პრესა.
ლ. არჩევნები.

ყრილობაზედ გასაგზავნი წარმომადგენელნი უნდა აირჩეს პარტიის ადგილობრივ წევრთა საერთო კრებებზედ, ყოველ ას წევრზედ თითო, სადაც ას წევრზედ ნაკლებია, იქ ერთი წარმომადგენელი უნდა აირჩეს.

თუ პარტიის წევრთა საერთო კრების მოწვევა შეუძლებელი იქნება, წარმომადგენელს ადგილობრივი კომიტეტი აირჩევს.

**მიტინგი გურჯაანში.**

**გურჯაანი.** 6 მაისი. ქართველ ეროვნულ დემოკრატების მრავალრიცხოვანმა მიტინგმა გურჯაანში შემდეგი რეზოლიუცია მიიღო: გამოეცხადოს სრული ნდობა დროებით მთავრობას და მოეთხოვოს საქართველოს ტერიტორიული ავტონომია დემოკრატიულ საფუძველზე 1783 წ. ტრაქტატის მიხედვით.

თავმჯდომარე **სანდრო შანშიაშვილი.**

**საპარტიო კრება გურჯაანში.**

**გურჯაანი.** მაისის 10. გურჯაანში საპარტიო ყრილობა მოხდა. თავმჯდომარეობდა შანშიაშვილი. ექვსასი კაცი გურჯაანელი პარტიის წევრად ერთხმად ჩაეწერა.

დადასტურებულია ადგილობრივ კომიტეტის მიერ.

**ხარაჯიშვილი.**

---

შაბათს, 13 მაისს, დ. ყვირილაში, და კვირას, 14 მაისს, ჭიათურაში გაიმართება ერ.-დემოკრ. პარტიის წევრთა და თანამოაზრეთა საჯარო ყრილობები. ყრილობებს დაესწრებიან მთავარ კომიტეტის წარმომადგენლები: იოს. მაჭავარიანი და ლული ჯაფარიძე.

---

**ეროვნულ-დემოკრატ. სტუდენტა საერთო კრება.**

კვირას, 14 მაისს, დანიშნულია ერ.-დემოკრატ სტუდენტთა საერთო კრება გაზ. საქართველოს“ რედაქციაში, 5 ნახევ. საათზედ.

---

**კომიტეტის დაარსება ახალ-ქალაქში.**

მაისის 4, ახალ-ქალაქში დაარსდა საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ჯავახეთის კომიტეტი. მეორე დღეს კომიტეტის თავმჯდომარემ ბ. ილია ალხაზიშვილმა შემდეგი

ეროვნული

დეპეშა გაუგზავნა მინისტრ კერენსკის:

პეტროგრადი. მინისტრ კერენსკის. „ახლად დაარსებული ჯავახეთის კომიტეტი საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისა სალამს გიძღვნით თქვენ, როგორც რუსეთის დემოკრატიის ღირსეულ წარმომადგენელს, და თქვენში ჰხედავს ჭეშმარიტ დამცველს ქართველი ხალხის დათრგუნვილ უფლებათა აღსადგენად“.

**პარტიის ფოთელ წევრთა ყრილობა.**

ფოთი. მაისის 7. ხუთშაბათს საღამოთი ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის წევრთა საერთო ყრილობა იყო. მოხსენებები წაიკითხეს: საპოლიტიკო თემაზე ალექსანდრე თოხაძემ, საეკონომიოზე—ტრიფონ ჯაფარიძემ, ავტოკეფალიაზე—იპოლიტე ვართაგავამ და მელიტონ კელენჯერიძემ. მოხსენებებს საზოგადოება აღფრთოვანებით შეხვდა. გადაწყვეტილია კლუბის დაარსება.

სპირიდონ ყორყოლიანი.

## მიმართვა ქართველ საზოგადოებისადმი

განახლებული ცხოვრება ქართველ მასწავლებლებსაც დიდ პასუხ-საგებ საქმეს აკისრებს, მან ხალხის განათლება სად ეროვნულსა და წმიდა პედაგოგიურს ნიადაგზე უნდა დაამყაროს, სწავლა ყველა საგნებისა დაბალსა და საშუალო სასწავლებლებში დედა ენაზე უნდა მოაწყოს და სწავლა-აღზრდის საქმეში სრული დემოკრატიზაცია და ეროვნული სული შეიტანოს. ახლა იწყება აღორძინების ხანა ქართველი ერის განათლებისა.

მაგრამ სკოლის განახლების პირველ ხანებში ქართველ მასწავლებლებს და მოსწავლეებს ბევრი დაბრკოლება ეღობება წინ: არა გვაქვს საკმაოდ დედაენაზე ყველა საგნების სახელმძღვანელო წიგნები და ხელსაწყო ნივთები, რაც აბრკოლებს დედა-ენაზე საგნების სწავლების განხორციელების საქმეს.

თბილისის ქართული გიმნაზიის მასწავლებელთა კორპორაცია კარგა ხანია შეუდგა ამ ნაკლის შევსებას, ზოგი სახელმძღვანელო დასაბეჭდად უკვე დამზადებულია, ზოგიც მალე მზად იქნება, მაგრამ მათი გამოცემა დღევანდელი სტამბის პირობებისა, ქაღალდისა და საზოგადოდ ყველაფრის საარაკო სიძვირის გამო ვერ ხერხდება და ჩვენი სკოლების ნაციონალიზაციის საკითხიც შესაფერი სისწრაფით წინ ვერ მიდის.

თბილისის ქართულ სავაჟო და საქალებო გიმნაზიების მასწავლებელთა კორპორაციამ აპრილის 29 გამართა ამ საკითხის გამო მსჯელობა, აირჩია სახელმძღვანელო წიგნების გამომცემელი კომისია და დაავალა სახელმძღვანელო წიგნების გამოსაცემათ საჭირო თანხის მოპოვება.

სრულიად დაიმედებულნი, რომ ქართველი საზოგადოება თანაუგრძნობს ჩვენი ერის ეროვნულ სწავლა-განათლების საქმეს, მივმართავთ ჩვენ საზოგადოების წევრთ უმორჩილესის თხოვნით შეძლების და გვარად დახმარება გაუწიოთ გამომცემელ კომისიას ქართულ სახელმძღვანელოების გამოცემაში, რომ წიგნები დროზე იქმნეს დასტამბული და ამ მხრით დაბრკოლება არ შეხვდეთ ჩვენს მოსწავლე ახალგაზრდობას.

შემოწირულებანი შემდეგი მისამართით უნდა გამოიგზავნოს: თბილისი, ქართული გიმნაზია. გამგე კომიტეტის თავმჯდომარის ამხანაგს გრ. გრ. ძადლაშვილს.

კომიტეტის წევრები თბ. ქარ. გიმ. მასწავლებლები: დ. პარკაძე, ლ. ბოცვაძე, კ. ქავთარაძე, ს. ჩიძავაძე და ლ. ჩიმაკაძე.

## საქართველოს ეკლესიის სამღვდელმთავრო ტაძრების სალაროები და მათი ბედი XIX საუკ. დამდეგს

(გაგრძელება)

თეოფილაქტე ეგზარხოსმა 1 აპრილს 1819 წ. სიტყვიერათ უბრძანა ელეფთერ არქიმანდრიტს—„წადი კახეთში და ალავერდში რაც რამ სამღვდელმთავრო სახმარი ნივთები იყოს სალაროში, გაშინჯე, აწერე და თან წამოიღე. ელეფთერიმ მაშინვე გასწია თელავისაკენ და ალავერდის ტაძრის ქონებათა გამგებელს არქიმანდრიტს ეპიფანეს ეწვია. უამბო ეგზარხოსის ბრძანება და 12 აპრილს ორნივე ჩამოვიდნენ თბილისში და ეგზარხოსს შემდეგი ნივთები მიართვეს, „ურაპორტეს“:

ა) ოქროს გვირგვინი (მიტრა) სხვა და სხვა ძვირფასი ქვებითა, მარგალიტებითა და ბრილიანტებით შემკობილი—86 ბრილიანტი, 537 იაგუნდი, 16 ზურმუხტი, 520 ფირუზი, 95 მარგალიტი. ბევრი ამ ქვათაგან კარგა მოდიდოა და ძვირფასი [1]).

ბ) გვირგვინი ვერცხლისა, ოქროში დაფერილი, ყალბი მინაქრის ხატებით გარშემო და მარგალიტით მოოჭვილი, თავზე ძვირფასი ქვებით შემკული, ჯვრით.

გ) ჯვარ-სასანთლეები ვერცხლისა, ერთი წყვილი;

დ) კვერთხი ვერცხლისა, ოქროში დაფერილი;

ე) დიდი ალთაფა ვერცხლისა, ხელსაბანი, 162 მისხალი.

ვ) დიდი ვერცხლის ტაშტი, 320 მისხალი.

ზ) გულ-საკიდი ხატი (პანაღია) წმ. გიორგისა, ძეწკვით და ძვირფასის თვლებით შემკული;

ჱ) მეორე გულსაკიდი ხატი მაცხოვრისა, ყალბი მინაქრისა, თვლებითა და ოქროში დაფერილის ვერცხლის ძეწკვით.

თ) მესამე გულსაკიდი ხატი, კვიპაროზის ხეზედ ჩუქურთმით ამოჭრილის ჯვარცმით და ვერცხ. ჯაჭვით.

ი) ენქერი, ოქრომკედით და აბრეშუმით ნაკერი, ოთხის ვერცხლის ფუნჯით;

ია) ორი მდინარი (მანტია).

იბ) ბალიში, ოქროქსოვილი ფარჩისა

იგ) ექვსი ბისონი ძვირფასის ფარჩისა.

იდ) სამი ომფორი. ეს ნივთები ჩაიბარეს—სიონის დეკანოზმა ალექსანდრე ფედოროვმა და კანდელაკმა მღ. გაბრიელ ქართველოვმა.

დავით გარეჯის მონასტრის წინამძღვარი არქიმანდრიტი ილარიონი (ვაჩნაძე) დაითხოვა ეგზარხოსმა თეოფილაქტემ და სემინარიის რექტორს არქიმანდრიტს ვიტალის ჩააბარა, მაგრამ 26 ოქტომბერს 1817 წ. ვიტალიმ მოახსენა კანტორას, მე არ შემიძლიან მონასტრის ყურისგდება, გთხოვთ ზოსიმე ბერს ჩააბაროთ ქონებაო. კანტორამ დავით გარეჯაში გაგზავნა ანჩისხატის ტაძრის კანდელაკი ბლაღოჩინი გაბრიელ მესხიევი და ზოსიმე ბერს ჩააბარა 26—27 ოქტომბერს:

15 სტიხარი, 3 გინგილა, 15 ოლარი, 11 სარტყელი, 16 წყვილი საბუხრე, 8 ენქერი, 21 ფილონი, მღვდელმთავრის შესამოსლები: 1 სტიხარი იოანე რუსთველისეული; 2 სტიხარი ევლოღისეული, 4 ოლარი, 2 ოლარი, 2 საბუხრე, 5 ბისონი ვერცხლის ღილებით და ნაკერი მარგალიტის ჯვრებით; ორი ენქერი, 3 ომფორი ვერცხლის ღილებით, 3 საარქიმანდრიტო ჯვარი ჯაჭვებით, 1 მიტრა ევლოღისეული მარგალიტით მოოჭვილი, მეორე მიტრა მარგალიტითვე შინაკერი, 1 კვერთხი ეკალმუხისა ვერცხლის თავით და ბურთებით, 1 წყვილი ჯვარსასანთლეები, 1 მანტია, 4 სახარება ვერცხლით მოჭედილი, 6 ჯვარი, ამათგან 1 მინაქრიანი ვერცხლისა ოქროში დაფერილი, მეორე ვერცხლის თვლებით მოჭედილი და ოქროში დაფერილი; 9 ბარძიმი ვერცხლისა თავის გაწყობილობით, 10 წყვილი დაფარნა, 1 ვერცხლის შანდალი, 1 ვერცხლის პურ ზეთის საკურთხეველი, 17 ვერცხლის თასი, 5 ვერცხლის კანდელი, 4 ვერცხლის საცეცხლური, 8 ძვირფასი ხატი ოქრო-ვერცხლისა.

1824 წ. 24 სექტემბერს ეგზარხოსი მივიდა დავით გარეჯის მონასტერში და დაათვალიერა: ძალიან მოეწონა სალაროში ერთი ბისონი და ომფორი წინათ ქართველ მღვდელმთავართაგან ნახმარნი. ბისონი—მუქი ნარინჯის ფერი ხავერდისა, მხრები და საყელო ნაკერი, აქეთ-იქით ვერცხლის კლიტეებით და ფერადი აბრეშუმით ნაკერი, 14 ვერცხლის ღილით, თეთრი ატლასის სარჩულით. ომფორი ოქროქსოვილი ფარჩისა, აბრეშუმით ჩაქსოვილი, ათი ვერცხლის ღილით, გარს მოვლებული განიერის ოქროს ბუზმენტით და ბოლოებზედ შეკული გარდაგარდმო ოქროს ფუჩით, წითელი გარნიტურის სარჩულით. ესენი ჩამოატანინა სიონში და გაბრიელ ქართველოვს ჩააბარეს. [2])

14 აგვისტოს 1818 წ. გაუქმებულის თირის მონასტრის წინამძღვარს ბეკმარის დეკანოზ იოსებ ელიოსიძემ მოახსენა ეგზარხოსს თეოფილაქტეს—ქვემო ხვთის ეკლესიაში ასვენია თირის მონასტრის ხატი და ჯვარი მღ. გრიგოლ ეფემიაშვილის ხელში: ღვთისმშობლის ხატი ვერცხლით შეჭედილი, ხელთუქმნელი ხატი მრავალნაწილიანი, წმ. გიორგის ჯვარი, ვერცხლით შეჭედილი, ორი მომცრო ხატი, ბარძიმი, ფეშხუმი და საცეცხლური ვერცხლისა, მეფე ერეკლესაგან შეწირულნი, დიდი ბარძიმი ვერცხლისა, ივანე მაჩაბლის შეწირული. სახარება ვერცხლით შეჭედილი, მარხვანი, ზადიკი მოსკოვიდგან გამოგზავნილნი მოსე დეკანოზისშვილისა.

თეოფილაქტემ უბრძანა ელიოსის ძეს—თუ ეს ნივთები მართლა ქვემო ხვითშია. მღვდლიანათ აქ წარმომიდგინეო. მაგრამ გიორგი და არდაშელ თაქთაქიშვილებმა არ დაანებეს—„მონასტერიც ჩვენია და ხატიც და ჯვარიცაო“.

ეს აცნობა ელიოსიძემ ეგზარხოსს. ამან უბრძანა—დაიხსენ, დრომდე დარჩესო.

23 ივნისს 1824 წ. სოფ. აძვისის მღ. გრიგოლ კაპანაძემ მოახსენა კანტორას—„თ-მა გიორგი ამირეჯიბმა ქურდულათ წაიღო სალოლაშნის შეტგარეში საყდრის ნივთებიო. კანტორამ მისწერა მთავრობას და რუისის ბლაღოჩინმა ზაქარია მამაცოვმა დაუბრკოლებლივ ჩაიბარა და ამ ნივთების სია წარმოუდგინა მღ გრიგოლ კაპანაძის ხელით კანტორასა: ღვთისმშობლის მიცვალების ხატი ოქრო-ვერცხლით ჩამოსხმული და შეჭედილი ექვსი ძვირფასის თვლით, მარგალიტის საყურე თვლებით შემკობილი, მარგალიტის საყელური; უფის ხატი ვერცხლით შეჭედილი ორი პატარა თვლით. ჯვარი ხისა, ვერცხლით შეჭედილი, 7 თვალითა და 2 მარგალიტითა, ხატი მაცხოვრისა ნაწილებიანი, ვერცხლით შეჭედილი, 22 თვალით შემკული. ვერცხლის დიდი ჯვარი 28 თვალით შემკული. მიძინების ხატი, ვერცხლით შეჭედილი, 9 თვალით. ამაღლების ხატი ვერცხლით შეჭედილი, ნათლისღების ხატი ვერცხლით შეჭედილი, ბზობა—ლაზარეს ხატი ვერცხლით შეჭედილი, მირქმის ხატი ვერცხლით შეჭედილი, ტაძრათ მიყვანების ხატი, ვერცხლით შეჭედილი, ხარების ხატი ვერცხლით მოჭედილი, ხის ჯვარი ოქრო ცურვილი ვერცხლით მოჭედილი, 5 მარგალიტითა. ბარძიმი ვერცხლისა გარს 10 ამოჭრილის ჩუქურთმით წმინდანითა. და ფარნები ოქრომკედით ნაკერი, 20 მარგალიტითა, სარტყელი ვერცხლის ბალთებითა. ერთი ვერცხლის თასი, ძველი სახარება ვერცხლით მოჭედილი, ფეშხუმი და ორი კამარა ვერცხლისა, ოქროში დაფერილი ვერცხლის საცეცხლური, ერთი ვერცხლის აკვანი, 15 მარგალიტი; 5 ვერცხლის ბეჭედი და ერთი ოქროსი, ფირუზით, ორი ვერცხლის ღილი; სამი ვერცხლის სასანთლე; ერთი დიდი ვერცხლის თასი [3]).

1829 წ. ღვინობისთვეში ს. ქარელში მიიცვალა ყინცვისის მონასტრის არქიმანდრიტი ბართლომე მღვდლის სიმონ მცხვედაძის სახლში. ბართლომეს ანდერძით დარჩენია—ბარძიმფეშხუმი და შანდალი ვერცხლისანი. ეს ნივთნი კანტორამ მოსთხოვა მღ. ცხვედაძეს, მაგრამ უარი მოახსენა—მე ეკლესიაში ვხმარობო, მაგრამ ბლაღოჩინმა გრიგოლ პაპტოვმა ჩამოართვა და ეგზარხოსს იონას მიართვა.

ყინცვისის მონასტრის ბარძიმფეშხუმი, მიტრა და სხ. ნივთნი თ-დ ციციშვილებს ჩამოართვა გუბერნატორმა ხოვენმა 1829 წ. და ეგზარხოსს იონას წარმოუდგინა და ჩააბარეს სიონის კანდელაკს გაბრიელ ქართველოვს [4]).

მღ. პ. კარბელაშვილი.

(შემდეგი იქნება)

## ჩხენკელის აზრი ეროვნულ საკითხზე

**ჩხენკელი თელავში.**

აპრილის 4, საღამოს 6 საათზე, გვესტუმრა თელავში კომისარი ჩხენკელი, რომელსაც ხალხი და ჯარი დილიდგანვე უცდიდა სამოქალაქო ბაღში. ჩხენკელიც მოვიდა თუ არა, ჯერ აქ წარმოსთქვა სიტყვები. შემდეგ შემ. გამ. ამხ. დარბაზში გაიმართა კრება და იქ ილაპარაკა გულახდილათ ის, რაც ჩვენს ორატორებს დიდი ხანია უნდა ელაპარაკნათ. წათამამდა შეუგნებელი ხალხი, რომ იმის ხათრიც კი არ შეინახეს, რომელიც შეუდგრათ იბრძოდა მტარვალ მთავრობას. მოუწოდა ყველა პარტიებს და ერებს, რომ შეერთდნენ და ერთი დროშით იბრძოლონ ნამდვილი თავისუფლების დასამყარებლად. თავისუფალი რუსეთი არც ერთ ერს ისე არ დასტოვებს, რომ ეროვნული თავისუფლება არ მიანიჭოსო. სხვა და სხვა პარტიის წარმომადგენლებმა კიდევ რამდენიმე კითხვა მისცეს და ყველამ ისეთი პასუხი მიიღო, რომ კმაყოფილი დარჩა და აშკარათ იგრძნეს, რომ სხვა ერების მოსარჩლე ქართველი სოციალ-დემოკრატი, არც თავის სამშობლოს დაივიწყებენ და უპირატესობას უფრო თავის სამშობლოს მიაკუთვნებენ, მხოლოდ ისე, რომ არც სხვა ერი დაიჩაგროს.

შუამთელი.

## კორესპონდენცია

### † იაგორ თაყაიშვილი

ოზურგეთი. ამას წინედ აქ გარდაიცვალა მთელი გურიის საყვარელი ექიმი იაგორ თაყაიშვილი. განსვენებული 40 წელიწადი ემსახურა გურიას. მეოთხე კურსის სტუდენტი იყო, როცა „ნაროდნიკობა“ შესწამეს და დაითხოვეს, რუსეთში ცხოვრებისა და სხვა უნივერსიტეტში შესვლის ნება არ მისცეს. დაბინავდა ქ. ოზურგეთში და მხნედ შეუდგა მკურნალობას. მაშინდელი ექიმის მდგომარეობა და ახლანდელი ერთი და იგივე არ იყო, ცრუ-მორწმუნეობა, მკითხაობა და სალოცავები ექიმის მოღვაწეობას ხელს უშლიდნენ. ექიმს კი მათთვის უნდა ესწავლებინა ჩაის გაკეთება, ჭურჭლის დარეცხა, საჭმელის მომზადება... იაგორი ყველა ამას დიდის გულმოდგინებით ასრულებდა და ხალხს შეაყვარა კიდეც ექიმობა. შედარებით პატარა კაცი, მეცნიერულ შრომასაც აწარმოებდა: მთელ მის პრაქტიკაში რაც ავადმყოფი ჰყოლია ყველას ისტორიას იწერდა. ეს კი იშვიათია. იაგორი უანგარო მუშა იყო. ნამდვილი დემოკრატი, 40 წლის მშრომელს ვალისა და კარგი სახელის მეტი არა დარჩა რა.

პ.-მ.

### სკოლების საჭიროება ჭანეთში

ჭანეთი სწავლა-განათლებას მოკლებულია. დღეს მთელ ჭანეთში ერთი სკოლაც კი არ არის; ომის დაწყებამდე შეიძლება ყოფილიყო აქ თურქული სკოლები, მაგრამ ახლა ისიც არ არის. ჭანი შეგნებულია, მას კარგად ესმის სწავლის საჭიროება და მოწადინებულია ქართული წერა-კითხვა შეისწავლოს. ამისთვის კი საჭიროა ქართული სკოლები. მხოლოდ ამ სკოლებს შეუძლიანთ დაგვაკავშირონ და დაგვაახლოვონ ჩვენ თანამოძმე ჭანებთან. მიუხედავათ იმისა, რომ აქ ქართული სკოლები არ ყოფილა, ბევრს შეხვდებით ჭანეთში ქართულ წერა-კითხვის მცოდნეს, მათ ეს თავისი პირადი სურვილით შეუსწავლიათ. ჭანელი ქართველი მაჰმადიანი დიდად ნიჭიერია და მას სულ მალე შეუძლიან ქართული წერა-კითხვის შესწავლა მხოლოდ ქართული სკოლების გავრცელებაა საჭირო. მაშინ სულ მალე უნდა მოველოდეთ ჭანეთის აყვავებას.

მივაქცევთ ქართულ საქველმოქმედო და წერა-კითხვის საზოგადოებების ყურადღებას ჭანეთისადმი. ეხლავე უნდა შეუდგენ მუშაობას ჭანეთის საკეთილდღეოდ და ეს ჩვენი თანამოძმე ხალხი იხსნან იმ სიბნელისაგან, რომელსაც დღეს უსკოლოთ განიცდიან.

ჭანეთში, სკოლის ასაკის ბავშვების რიცხვი მრავალია.

ჭანეთის ბევრი სოფელი თხოულობს ქართული სკოლები დაგვიარსეთო და ჩვენ დედა-ენაზე წერა-კითხვა გვასწავლეთო.

სასურველი იქნება აგრეთვე, რომ ზემოხსენებულმა საზოგადოებებმა, ჭანეთის ზოგიერთ სოფლებში საკვირაო სკოლებიც მოაწყონ, ეს დიდ დახმარებას გაუწევს მოზრდილ თაობათ და დედა-ენაზე წერა-კითხვას შეასწავლის.

ა. გორგაძე.

## შემოწირულებანი

**პეტროგრადის ქართველთა ახალშენი**

იანვრის უკანასკნელ რიცხვებში დაარსდა საიუბილეო კომიტეტი, წითელ ჯვრის საზ. მართველობის წევრის თ. ი. ა. ნაკაშიძის 50 წლის სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ ღვაწლის აღსანიშნავად.

კომიტეტის შემადგენლობაში შემდეგი პეტროგრადელი ქართველები შედიან: არაბიძე, ა. დ. ბალანჩივაძე, მ. ა. გრიგოლია, კ. ს. დოლიძე, კ. ზ. თ. მაყაშვილი, ი. ზ. ურუშაძე, ა. პ. (კომიტეტის მდივანი) და თ. ჩერქეზიშვილი, ა. ნ. (კომიტეტის თავმჯდომარე). თ. ნაკაშიძის ღვაწლის აღსანიშნავად კრებამ ერთხმად დაადგინა: ღარიბ ქართველ მოსწავლეთა სასარგებლოდ თ. ნაკაშიძის სახელობაზე ფონდი დაარსოს.

22 იანვრიდან 2 თებერვლამდე (დღესასწაულის დღე) შემდეგი შემოწირულება შემოვიდა:

ეპისკოპოსი კირიონი 50 მან., არქიმ. ამბროსი 30 მ. ა. მ. და მ. ი. ხოშტარია 1,500 მან. სახ საბჭოს წევრი და თავად-აზნაურობის წინამძღოლი თ. კ. ნ. აბხაზი 100 მ. ანნა ვ. ხელაია 15 მ. ალ. ვ. ხელაია 15 მ. გენ. ლ. თ. ა. გ. ვაჩნაძე 50 მ. დ. ა. ღლონტი 10 მ., ი. ს. კრიჩინსკი 100 მ., თ. დ. ლ. მალალაშვილი 100 მ. ა. დ. ქორქია, 25 მ., გ. ფ. ვებერი 25 მ., ნიკ. იაკ. ნიკოლაძე 35 მ. მთ. მართ. უფროსი ა. დ. ჩამონსკი 100 მ., გ. ა. მხეიძე 50 მ. თ. დ. გ. და ოლ. ი. ქობულაშვილები 100 მ. ი. ი. კასნელოვი 100 მ. თ. ერისთავისა 5 მ., თ. ენ. ჩოლოყაშვილისა 10 მ., თ. ი. ვ. მაყაშვილი 50 მ., ა. ე. დოგონაძე 50 მ., კ. ს. გრიგოლია 100 მ., პ. ნ. ჩიქოვანი 100 მან. კაპ. ს. ი. ანთაძე 50 მ., გ. ვ. ნოვომეისკაია 50 მან., ალ. დ. და გ. ი. ხეთაგუროვები 100 მან., როსტ. არჩვეი 50 მ., ს. გ. ყორღანელიანი 50 მან., დ. გ. ჯმუხაძე 200 მ., ნ. პ. იოსელიანი 300 მ., ი. ნ. მაკსვეტოვი 100 მ., მ. ვ. აკოპოვი 50 მან., თ. ვ. მ. ლორთქიფანიძე 50 მან., თ. ვლ. უ. იაშვილი 200 მ., თ. ი. ვ. მაჩაბელი 25 მან., ნ. გ. იოსელიანი 300 მან., ქეთევ. დ. მადინა 100 მან. ელის. ა. და ალ. პ. ურუშაძე 100 მან. დ. ბ. წერეთელი 10 მ., გენ.-მ. თ. პ. ლ. მელიქიშვილი 50 მ., დ. ნ. დიასამიძე 25 მან., თ. ანნა ი. ანდრონიკაშვილისა 10 მან., თ. ელ. ნ. ჩერქეზიშვილისა 25 მ., კ. ზ. ქავთარაძე 200 მან. ს. ალექსიძე 10 მ., თ. ი. ზ. მაყაშვილი 25 მ. სენატ. ნ. ა. სულთანყირიმ. გიოჯი 10 მ., თ. ი. ს. ვაჩნაძე 6 მან., ვ. ს. ბებრიშვილი 10 მან., ნ. ო. ბერიძე 15 მ., დ. ე. ხვადაგუნიძე 50 მ. პ. ა. პ. ა. გუჯაბიძე 10 მ., თ. დ. კ. ნიჟარაძე 100 მან., ალშიბაია 25 მან., პრაპ. ი. ს. კონტრიძე 50 მ. თ. ა. და ა. ნ. ჩერქეზიშვილები 300 მან., სულ 5,376 მ. ამას გარდა საიუბილეო კომიტეტს ჯერ არ მიუღია: ქართ. საქველ. საზოგადოებისაგან (თბილისში) 500 მან., და პეტროგრადელ დაჭრილთა მომხმარე საზოგადოებისგან 300 მან. გვაცნობა საზოგადოების მდივანმა თ. ი. ვ. მაჩაბელმა. საიუბილეო კომიტეტმა თ. ი. ა. ნაკაშიძესთან თანხმობით დაადგინა:

შეგროვილი თანხა გარადაეცეს ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოებას (ქ. თბილისში) იმ პირობით, რომ ზემოხსენებულ „საზოგადოება“-მ თ. ი. ა. ნაკაშიძის სახელობის ფონდის შემოწირულების მიღება განაგრძოს. ა) 1917—1918 წ. ნაკაშის სახელობის სტიპენდია იქმნეს დაარსებული. ბ) სტიპენდია მიეცემა იმ სტუდენტს ანუ სტუდენტ-ქალს, რომელიც ქართულ ენის, ისტორიის და ქართულ ლიტერატურის დარგში მუშაობს. გ) სტიპენდიატორს თვითონ თ. ი. ა. ნაკაშიძე ამოირჩევს კანდიდატთა სიიდან. დ) ნაკაშიძის სიკვდილის შემდეგ საზოგადოება თვით ამოირჩევს სტიპენდიანტს, მხოლოდ მე-3 პუნქტის პირობათა შენახვით. ე) თავის არქივში საზოგადოებამ უნდა შეინახოს საიუბილეო კომიტეტის ქაღალდები (დღესასწაულის აღწერა, წერილები, დეპეშები, სიტყვების აღწერა და სხ.

საიუბილეო კომიტეტი დიდ მადლობას ჰსწირავს ფონდის შემომწირველთ.

კომიტეტის თავმჯდომარე ალ. ჩერქეზიშვილი, კომიტეტის მდივანი აფ. ურუშაძე.

P. S. ვთხოვთ ქართულ გაზეთებს ჩვენი ანგარიში გადაბეჭდონ.

---

რედაქტორი გრიგოლ ვეშაპიძე.
გამომცემელი ამხ. „საქართველო“.

---

**ამიერ-კავკასიის რკ. გზის**

**მატარებლების მიმოსვლა**

(დრო ნაჩვენებია თფილისის)

**თბილისიდან გადის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმისკენ | საფ. | № 8, | 11.08 | დღ. |
| „ | სამგზ. | № 9, | 11.43 | საღ. |
| ბორჯომისკენ | სამგზ. | № 19, | 3,20 | დღ. |
| „ | „ | № 17, | 8.27 | დილ. |
| გორისაკენ | სამგზ. | № 61, | 9.10 | დილ. |
| ბაქოსაკენ | ჩქარ. | № 6, | 9.20 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 8, | 3.54 | დღ. |
| „ | საფ. | № 4, | 9.28 | საღ. |
| ყარსისაკენ | სამგზ. | № 4-8, | 11.13 | საღ. |
| თელავისაკენ | № 4, | 8 „ | 58 „ | დილ. |

**თბილისში მიდის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმიდან | სამგზ. | № 10, | 7.51 | დილ. |
| „ | საფ. | № 4, | 8.58 | საღ. |
| ხაშ.-ბორჯ. | სამგზ. | № 20, | 7.43 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 18, | 10.12 | საღ. |
| გორიდან | სამგზ. | № 62, | 6.34 | საღ. |
| ბაქოდან | საფ. | № 3, | 10.08 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 7, | 4.12 | საღ. |
| „ | ჩქარ. | № 5, | 10.40 | საღ. |
| თელავიდან | | № 3, | 6.24 | საღ. |
| ყარს-ჯულფ. | საფ. | № 3***, | 3.10 | დღ. |

ექიმი
**მ. ნ. ვეფხვაძე**
ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი, იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიკზდის ქუჩა, № 19.

ექიმი
**ივანე თიკანაძე**
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება საღამოს 6—7 საათამდე.
მისამართი: კიროჩნის ქუჩა, 18.
ტელეფონი № 11—82.

ექიმი
**ფონ-ირტელი**
(მიხეილოვის პროსპ. 128, კრილოვის ქუჩის კუთხე, 1, შესავალი კრილოვის ქუჩიდან, სახლი ოზანეზოვისა).

მოსკოვის სახაზინო საავადმყოფოს ყოფილი ორდინატორი, სპეციალისტი დოსტაქრობისა, საშარდე მილისა, სქესობრივი ორგანოებისა, სიფილისისა და მის შედეგებისა (საშარდე მილის დავიწროება), სქესობრივი უძლურებისა, სიმსივნისა, ჭრილობისა, ბუასილისა, [illegible], საშარდე ბუშტის სნეულებისა და საშვილოსნოსი. ორივე სქესის ავადმყოფების მიღება ხდება დილის 9½-დან 1 საათამდე და ნაშუადღევის 5—8 საათამდე.
[illegible] „914“ და „603“
[illegible]

**საავადმყოფო**

სამხედრო ექიმ სპეციალისტებისა მოსიარულე ავადმყოფებისთვის:
დიდი ვანქის ქუჩა № 3. ალექსანდრეს ბაღის ახლო, ტელეფონი 431.
ავადმყოფების მიღება: დილის 10 საათიდან 5 საათამდე.
ბელანჟე—ბავშვთა შინაგან ავადმყოფობისა. ღებულობს 10—12 ს. ყოველდღე.
გეინაცი—თვალის ავად. 2—3 საათ. ორშაბათობით და ოთხშაბათობით.
ასპისოვი—ყელის, ყურის და ცხვირ. 1—2 საათ. ორშაბათ. და ოთხშაბათ.
ფირადოვი—ქირურგ. ავად. 12—1 საათამდე.
მონხე—ბავშვთა შინაგან ავად. 1—3 საათამდე ყოველ დღე.
ჩუდნოვსკი—შინაგან და ნერვიულ ავად. 12—1 საათ. ხუთშაბ. და კვირაობით.
ბეგზადოვი—ქალთა და საბებიო ყოველ-დღე 2 3 საათამდე.
იოსელიანი—ქალთა და საბებიო ავად. ღებულობს ორშ., ოთხშ. და პარ. 11—12 ს.
ნარიმანოვი—ვენერიული ავად. ყოველ-დღე 10—11 საათამდე.
დეკანოზოვი—ქალთა ავად სამშაფათ. ხუთშაბ. და შაბათობით 12—1 საათ.
ტროიცკაია—ქალთა და ქირურგ. ავად. ყოველდღე ქირურგ. 2—3 საათამდე.
ქალთა ავადმყოფ. 3—4 საათამდე.
ბაგდოევისა—კბილის ექიმი ყოველ-დღე 3—5 საათამდე.
ალიხანოვისა—კბილის ექიმი ყოველ-დღე 10—12 საათამდე.

თევზის მრეწველნი
**ძმ. მეზველოვები**
პუშკინის ქუჩა, საკუთარი სახ., № 9, ტელეფონი № 712.

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და საუკეთესო სახლ. „[illegible], სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის ხიზილალა, მცირე მარილიანი, შავი „მუშხნი“ ხიზილალა. მივიღეთ საუკეთესო სალიანის შამაიები მუდმივ გვაქვს ცოცხალი თევზი. აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული უცხოეთის კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

---

[1] ეს გვირგვინი დღეს ქართლ-კახეთის საეკლესიო მუზეუმშია დაცული სრული აღწერა იხ. Сіонскій Соборъ დეკან. მ. ტყემალაძისა.

[2] საქმე კანტორისა 1824 წ. № 104

[3] იხ. საქმე კანტორისა 1824 წ. № 1228.

[4] იხ. საქმე კანტორისა 1835 წ. № 5407.

სტამბა „ცხოვრება ასლან კალანდაძისა, გაბაევის შესახვევი № 4.